

3-47

საბავშვო ლიტერატურის ცენტრი



1928

სახეცვლამი


№ 2

რა უნდა წავიკითხოთ.

6. კაცოველი — „თოვლიან მთაზში“.

სვან გვდინი — „ღალსკვის პირად“.

ამ წგნაკში ავტორი მოგვითხრობს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ტურისტული განყოფილების წევრების ასვლიას იალბუზზე. ექსპედიცია იწყებს თავის მუშაობას პიატიგორსკიდან. აქ აგვიწერს პიატიგორსკის შესამჩნევ ადგილებს, მინერალურ წყლებს, აგრეთვე ქალ. პიატიგორსკს. გზადაგზა აწერილია ჩვენი მთების ბუნებრივი პირობები, სოფლები, რამეურნეობას მისდევენ, მთაში მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულება და ადამი, მდინარენი, მყინვარები,



მთის ველები, რადარა მცენარეულება იზრდება სხვადასხვა სიმაღლეზე, რადარა ცხოველები ხვდებათ გზადაგზა. კარგად არის გადმოცემული — ექსპედიციის დამისთევა მთაში. ავტორი მოხიბლულია დამის სურათით და აბობს: „უნდა თვითონ განიცადოთ ეს ღამე მთაში, თორემ გადაცემა შეუძლებელია“.

შეტად საინტერესოა იალბუზის მწვერვალზე მცენარე „ალპინისტის სისხლი“. ეს მოთხრობა გააცნობს ბავშვებს ჩვენში მთების ბუნებას, სილადეს, სილამაზეს, რაც ავტორს ძალიან ხალისიანად და მხატვრულად აქვს აღწერილი. საერთოდ, ბესთი შინაარსის წიგნაკები ჩვენ ნაკლებად მოგვეპოება და რაც გვაქვს, იმით მაინც ვისარგებლოთ. წიგნში მშვენიერი სურათებია, კარგი ენითაა დაწერილი და ღირს 1 მანეთი.

შეტად ხალისიანად არის აწერილი ექსპედიციის მუშაობა, მისი დაბრკოლებანი და მიხსწევანი.

ეს წიგნაკი მეტისმეტად სისარგებლო და საინტერესოა, მაგ სიამოვნებით წაიკითხავს ბავში. მის შინაარსს შეადგენს გამოჩენილი შვედი მოგზაურის სვენ გვდინის ცენტრალურ აზიაში მოგზაურობა. გვდინი მიემგზავრება უდაბნოში და უნდა მიაწიოს ტიბეტს, ამისათვის ის შოულობს ამხანაგებს, ტვირთავს აქლემებს სურსათით, მიაქვს ტიკებით 25 დღის სამყოფი წყალი. მაგრამ განსაზღვრულ დროს ვერ ახწევენ ტიბეტს, წყალი უთავდებათ და წყურვილი ჰკლავთ. წყალი რომ არ აქვთ, ცხოველების სისხლს სვამენ, დიდ გაჭირვებას განიცდიან. წყლის ძებნაში უხდებთ დიუნებზე სიარული, ზოგი დიუნის სიმაღლე 30 მეტრს უდრის. გზადაგზა ეხოცება სვენ გვდინს წყურვილით აქლემები და თანამგზავრები, მხოლოდ თვითონ და ერთი თანამგზავრი ახწევენ წყალს. შემდეგ ს. გვდინი ბრუნდება უკან ამხანაგების გადასარჩენად. ავტორი გადმოგვცემს უდაბნოს სურათებს. ღამაზია სურათი: დიუნების შედარება ზღვის დეღეასთან. გზადაგზა აღწერს უდაბნოს მიდამოებს, თუ რადარა მცენარე და ფრინველები ხვდებოდნენ მათ.



ეს პატარა წიგნაკი მოთხრობის სახით ბავშვებს გააცნობს უდაბნოს მიდამოებს, მცენარეებს, ტყეებს, რის გაცნობაც ბავშვებისათვის საჭიროა.

ეს პატარა წიგნაკი მოთხრობის სახით ბავშვებს გააცნობს უდაბნოს მიდამოებს, მცენარეებს, ტყეებს, რის გაცნობაც ბავშვებისათვის საჭიროა.

შინაარსი:

	გვ.		გვ.
1. მემბოხე — ს. წვევლის	2	6. პიონერთა ახალშენი ღუმეოში — მ. მექვაბიშვილი	18
2. კინო-მსახიობი მიშა — გ. ს	3	7. ჩვენი ძმები მსოფლიოში	19
3. პატარა გმირი — ს. გაჩეჩილაძის	8	8. კედლის გაზეთი	22
4. როგორ იქნებოდა ქართული წითელი ჯარი — ალ. გორგაძის	14	9. კადრაკი	24
5. პიონერთა საზამთრო მოედანი — მ. გორგაძის	16	10. რა უნდა წავიკითხოთ	კანზე







ბუნეზი

1928
30 იანვარი

განათლების სასკოლო კომისიისათვის სტენოგრაფიის აღზრდის მთავარმართველობის და საცდითო მ. კ. თ. ცენტრალური მიერთის (საქ. ა. ლ. კომპარტიის ცენტრში) აქრნალი მანქანისათვის

წელიწადი III
№ 2



1. ბუნების კუთხე რკინის გზის მოსამსახურეთა პიონერ-კოლექტივში (ტფილისი, ლენინის რაიონი). 2. წინამძღოლი ესაუბრება პიონერებს წითელი ჯარის დღის შესახებ (მე-X-ე პიონერ-კოლექტივი). 3. ნიშანში თოფის სროლის შემდეგ პიონერები სანიშნოზე ეძებენ მოხვედრილ ადგილებს. 4. პიონერები კოლექტიურად აკეთებენ ორთქლმავლის მოდელს.

მამაბუნა

(გადმოკეთებული)

პამბუტის ერთი დიდი ქუჩის კუთხეში, სადაც მიწისქვეშა რკინის გზის ჩასაფალი იწყება, აურაცხელ ხალხს მოეყარა თავი და ვიღაც ბიჭს შემოხვეოდა. ბავში მტერიან კედელს მიყრდნობოდა და თავზე ხელები წაეფარა.

ის თხუთმეტი წლის უნდა ყოფილიყო.

ფეხსაცმელები დაფლეთილი ჰქონდა, მოკლე და გახუნებული შარვალი ეცვა.

— მაგრად, მაგრად დაარტყით!

— თავში, თავში!

— ჯოხი უთაქეთ!

— მუშტები მაგას!

— შეკარით, არ გაიქცეს!

— ხედავთ, თავს ხელებით როგორ იფარავს?

— თითებზე დასცხეთ!

— ჩამოართვით პროკლამაციები! გაჩხრიკეთ!

— პოლიციას დაუძახეთ! რას უყურებთ?!

ყვიროდენ ღიპიანი ვაჭრები, ბანკირები, მოხელები, ტახტის ერთული ოფიცერი და მუშტებს, ქოლგებს დაუზოგავად სცემდენ საბრალო ბავშს.

ის კი, რაკი გრძნობდა, რომ ვასაქცევი ვზა აღარ იყო, კედელზე თავმიყრდნობილი ერთ ადგილას იდგა და საშიშ განაჩენს ელოდა.

— რათა სცემთ ბავშს, არა გრცხვენიათ?! გაიმის ვიღაცის ხმა.

უცნობმა აღშფოთებული ბრბო გაარღვია და ბავშთან მივიდა. მას ძველი საზაფხულო კოსტიუმი ეცვა. თავშიშველი იყო. მისი სახის გამომეტყველება აშკარა აღშფოთებას და ზიზღს გამოხატავდა. მან ბავშს ხელი ჩაავლო და თავისკენ წაიყვანა. თან ბრაზით იმეორებდა:

— აი სირცხვილი, სირცხვილი!

უცნობი ბავშს თავისკენ ეზიდებოდა და ყურადღებას არ აქცევდა მაძლარ ჯალათებს, რომლებიც ყვიროდენ:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მამა ხომ არა ხართ?

— თქვენ რატომ სწუხდებით, კაცთმოყვარე ბატონო? ესეც გულჩვილია, რაღა!

— თუ მამა ხართ, კეთილ ინებეთ და მოუბრეთ თქვენს წიწილას: ის კანონის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ავრცელებს.

— ჯერ ხეირიანად გამოხარდეთ და მერე გამოუშვით ქუჩაზე.

— ეგენი აქცევენ ქვეყანას!

— რყვნიან ზნეობას!

— ფეხქვეშ სთელავენ კანონებს!...

უცნობმა ბავში მოსახვევში გაიყვანა, ცხვირსახოცი ამოიღო, ბაგეზე ცემის დროს ცხვირიდან წამოსული სისხლი მოწმინდა და თან ეუბნებოდა:

— როგორ გადარჩი ცოცხალი, როგორ არ მოგკლეს, როგორ გაები? ბავშმა გასვრილი მუჭი გახსნა და რაღაც წითელი ქაღალდის ნაჭერი გაშალა. ეს იყო კომუნისტური პარტიის პროკლამაცია.

— რას უშვებოდი მაგ ფურცლებს? ქუჩაში აკრავდი?

— კიდევაც გავაკრავ! — წარმოსთქვა ბავშმა.

— წამოდი ჩემთან, აქ პოლიციელები განახვენ! უთხრა უცნობმა კაცმა. — მომე სახსოვრად შენი ფურცელი. ბავში დაფიქრდა.

უცნობ არწივივით მკვეთრი თვალებით უცნობს ჩააშტერდა, თითქოს თავისი თანამოსაუბრის თვლებში რაღაც საიდუმლოს ამოკითხვა სურდა, და შემდეგ უცნობ მოხუცს პროკლამაცია გაუწოდა, თვითონ კი აჩქარებით წავიდა.


მცირე მანძილის გავლის შემდეგ ბავში ისევ მობრუნდა, გადახედა მის დამხსნელ წვეროშვებულ უცნობს, რომელიც, როგორც მისი ტანსაცმელით და სახის გამომეტყველებით ჩანდა, ძველი მუშა უნდა ყოფილიყო და დაუძახა: — მე ფრიცი მქვია! შეიძლება ჩვენ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს.

ამ სიტყვების დაძახებისთანავე ბავში ისევ გაბრუნდა და კაფეებისკენ გაემართა.

მტერიან ქუჩაზე ქარივით მიქროდენ ეტლები, ტრამვაები, ავტომობილები.

უცნობი დიდხანს იდგა მაღაზიის ვიტრინის წინ და თვალყურს ადევნებდა, თუ რა მარდად აღებდა ბავში კაფეების და რესტორანების კარებს, ჰყრიდა პროკლამაციებს და ელვის სისწრაფით უკანვე გამობრბოდა. — აი პატარა რევოლუციონერი!.. ნამდვილი მემამოხე!... გაიფიქრა მოხუცმა და გზა განაგრძო, თუმცა ფიქრებით გართულს არც ახსოვდა სად მიდიოდა.

ს. წიველი.



პონო-მსახობი მოშა

ცაზე მცხუნვარე მზე ოქროსფრად ეღვარებდა*). ქალაქში სკოლის შემხუთავი პაპანაქება იდგა. მიშას ტამისამოსი სულ შემოეხა... ტანისამოსის ნაფლეთებიდან შიშველი სხეული მოუჩანდა, მაგრამ მას ეს სულაც არ აწუხებდა, პირიქით, ასე უფრო გრილობდა.

ის პატარა მხეცივით დაწანწალებდა ქუჩიდან ქუჩაში, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი კაპეიკები შეეგროვებია... მისი საკვები ხომ მარტო პური იყო და სხვა არაფერი.

მიშა რუსთველის გამზირზედაც ხშირად დადიოდა.

აქ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წინ გადმოკიდული იყო ოთხკუთხედი თეთრი ტილო, რომელზედაც ხალხს საღამომობით კინემატოგრაფიულ სურათებს უჩვენებდნენ.

ახლა მიშას აღარ სჭირდებოდა ბილეთის ყიდვა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი აქ ის მთელი საათობით იდგა და კინო-სურათს უყურებდა.

აი, ღღესაც მიშა ამაყად მიაბიჯებს რუსთველის გამზირზე.

მაგრამ ეს რა არის?

მიშა შეჩერდა... თვალები მოიფშენიდა...

რევოლუციის მუხეუმის ახლოს რაღაც ჩოჩქოლი იყო. მიშა ხალხს მიუახლოვდა.

მუხეუმთან გაჩერებული ავტომობილიდან გადმოვიდნენ მუნდირებიანი სამხედრო პირები. ამნაირ მუნდირებს ძველად მეფის ოფიცრები ატარებდნენ. რევოლუციის გრიგალმა მეფის მთავრობასთან ერთად აღგავა ეს მუნდირებიც. ყოველივე ეს კარგად იცოდა მიშამ.

ავტომობილებიდან მათ გადმოიყვანეს ვიღაც ღარიბულად ჩაცმული ქალი, რომელიც თოფის თათების ცემით მუხეუმის კარებისაკენ წაათრის.

როგორ? ნუთუ თეთრები ისევ ტფილისში არიან?! თეთრები ვიღაც საბრალო ქალს საჯაროდ სცემენ... არა, ეს მოჩვენებაა... მიშამ კარგად იცის, ვინ არიან თეთრები... მათი წყალობით არის, რომ

მიშას მამა დასახიჩრებულია... ისინი ხომ მეფის მთავრობას იცავენ... დიახ, მიშამ იცის, ვინ არიან თეთრები.

ბრახმორეულმა მუშტები დაკუმშა... გული ბაგაბუგით უცემდა.

აი, მუხეუმთან დადგა მეორე ავტომობილიც. ავტომობილიდან ჯარისკაცები და ხელ-ფეხშეშობკვილი მეზღვაურებში გადმოვიდნენ. ჯარისკაცებმა მეზღვაურები იქვე კედელთან დააყენეს...

— „ხვრეტენ“ — გაიფიქრა მიშამ და თვალები ცეცხლივით აენტო — „ნუთუ მართლა დახვრეტას უპირებენ ეს არამზადები“?...

ჯარისკაცები კედლიდან რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით დაემწყრივეს. მუნდირიანი ოფიცერი ბრძანებას იძლეოდა... ჯარისკაცებმა მეზღვაურებს თოფები დაუმიზნეს... აქ კი მიშამ ველარ მოითმინა, უცებ ადგილიდან განწირული კვილით მოწყდა, ოფიცერს პატარა ვეფხივით მივარდა და მკლავში კბილებით ჩააფრინდა.

მიშას მეტი აღარაფერი ახსოვს.

ვიღაცამ ოფიცერს დიდი ვაივავალახით მოაშორა... გაფითრებულ ბავშვს ამშვიდებდა... რაღაცას უნმარტავდა.

ათრთოლებული მიშა ავტომობილის საფეხურზე ჩამოჯდა... გრძელ, შავ წამწებზე ცრემლები უციმციმებდა.

— „ვნახოთ, რას იზამენ“ — ფიქრობდა თავისთვის მიშა და ადგილიდან არ იძვროდა.

ერთმა კაცმა სამფეხზე რაღაც ყუთი შედგა და ქუქრუტანიდან შიგ დიდხანს ჩაჰყურებდა; მეორემ, რომელიც უფრო მოშორებით იდგა, რკინის დიდი მილიდან ბოხი ხმით ამოიყვირა:

— უკვე ვიწყებთ! მოემზადეთ!

კაცმა, რომელიც ყუთთან იდგა, ყუთის სახელური დაატრიალა.

ამ დროს მუხეუმის შენობას ავტომობილი მიუახლოვდა და უეცრად შეჩერდა.

— გადმოდით!.. ჩქარა!.. აპარატისკენ ნუ იყურებით... სემიონოვო, გარტყი მეზღვაურს, — გაისმოდა რკინის მილიდან.

*) დასაწყისი იხ. „პონერის“ № 1.

ოფიცერი მეზღვაურს მიუახლოვდა და კბილებში მუშტი ჩაბრტყა.

— ჰო... ეგრე... კიდევ...

ოფიცერმა მეზღვაურს კიდევ გააბრტყა...

— ერთი შეხედვით ამ ჩათლახს, როგორ მწარედ იცემება! — ბუზღუნებდა თავისთვის ბრახმორეული მიშა.

— ჩქარა! ჩქარა! კედელთან მიიყვანეთ! დახვრიტეთ! — გაჰყვიროდა მილში რეჟისორი.

თოფებმა ერთხმად იგრიალეს; მეზღვაურები მიწზე გაინართხენ. მიშამ ველარ გაუძლო ამ სანახაობას... თვალემა დახუჭა... და როცა ისევ გაახილა, მისი განცვიფრება უსახლვრო იყო:

მეზღვაურები, რომლებიც ეს იყო ახლა დახვრიტეს, ისევ ფეხზე იდგნენ და უღარდელად აბოლებდნენ პაპიროსს.



— ჩქარა! ჩქარა! კედელთან მიიყვანეთ! დახვრიტეთ! — გაჰყვიროდა მილში რეჟისორი.

— ალბათ გაცოცხლდნენ... მაგრამ სულერთია, ხელმეორედ დახვრეტენ, — ფიქრობდა მიშა.

მაგრამ მეზღვაურები ახლა ჯარისკაცებს მშვიდად ესაუბრებოდნენ და მათი ხელმეორედ დახვრეტა ფიქრადაც არავის მოსდიოდა.

რეჟისორი ოპერატორს მიუახლოვდა.

— რამდენი მეტრია?

— თორმეტი, — უპასუხა ოპერატორმა.

— კარგია... კიდევ დაგვრჩა ერთი სცენა. ივანე დიმიტრისძე, აბა, ნახეთ, რომელი სცენაა, — მიმართა რეჟისორმა თავის თანაშემწეს.

თანაშემწემ ქალაღლი გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

— გამოდის სმიწროვი; მას უახლოვდება მათხოვარი... სთხოვს მოწყალებას. სმიწროვი მათხოვარს ზიზღით გადახედავს და მიდის.

— კარგია... დავიწყეთ, მოიყვანეთ მათხოვარი, — სთქვა რეჟისორმა.

— საქმე ისაა, რომ მათხოვარი არა გვყავს...

— როგორ თუ არა...

— ტიხომიროვი, რომელიც მათხოვრის როლს თამაშობდა, ავად გახდა...

— აი, უბედურება თუ გინდა ეს არი... ახლარა გაეწყობა?... ხვალისათვის უნდა გადავდლოთ, — ნაღვლიანად სთქვა რეჟისორმა.

რეჟისორის თანაშემწემ ირგვლივ შემოსული ხალხს თვალი გადავლო და უცებ მიშა შეამჩნია...

— ჰეტრე მიხიელისძე! (ასე ეძახდნენ რეჟისორს) სხვა ვინმე ვათამაშოთ...

— მერე ვის შეუძლია ამ როლის შესრულება?

— აი ეს ბავში... თუ გამოდგება... და მიშაზე მიუთითა.

რეჟისორი მიშას მიუახლოვდა და ყურადღებით აათვალიერა. მიშამ უკან დაიხია, გაქცევა დააპირა, ეგონა გალახხვას უპირებდნენ... წელან ხომ მიშამ იმ ჩათლახ ოფიცერს მკლავზე მწარედ უკბინა... არა, აქ კარგი არა მომელის რა, — ფიქრობდა შეშინებული მიშა.

— ამ ბავშს მართლა შესაფერისი სახე აქვს...

— რა გქვიან შენ, კაცო? — უცებ შეეკითხა მიშას რეჟისორი.

— მიშა, — მორცხვად უპასუხა მიშამ.

— მოდი აქ, ნუ გეშინია... იმ ქალს ხედავ? და რეჟისორმა მდიდრულად ჩაცმულ ქალზე მიუთითა.

— ვხედავ...

— აი რა, როცა მე დაგიძახო, იმ ქალთან მიდი და მოწყალება სთხოვე. გასამრჯელოდ ერთ აბაზს მიიღებ... თანახმა ხარ?

მიშამ რეჟისორს თვალემაში შეხედა. ალბათ დამცინის, — იქვიანობდა მიშა, მაგრამ როცა რეჟისორის დინჯად გამომეტყველო სახე დაინახა, თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

— მაშ კარგია... ახლა კი მე და შენ დავიწყეთ რეპეტიცია.



გამოვიდა ქალბატონი. მიზა თავს უხერხულადა გრძნობს, ქალს უხეზად მიუახლოვდა და მოწყალება სთხოვა...

— მიზა, ეგრე კი არა, — უყვიროდა რეჟისორი მილიდან, — თავისუფლად მოიქეცი, თითქოს სადმე ბაღში იყო. სრულიად უბრალოდ მიდი და სთხოვე.

მიზამ რამოდენიმეჯერ გაიმეორა ერთიდაიგივე, მაგრამ რეჟისორი მაინც უკმაყოფილო იყო.

— მიზა, აწი ჩემკენ აღარ მოიხედო, მოიქეცი ისე, როგორც გასწავლე... უკანასკნელად კიდევ დაარიგა რეჟისორმა.

დაიწყეს.

ჯერ გამოვიდა მდიდრულად ჩაცმული ქალბატონი...

ოპერატორმა აპარატის სახელური დაატრიალა.

— მიზა... წინ, — უცებ მოისმა მილიდან.

მიზა ქალს მიუახლოვდა და მოწყალებისათვის ხელი გაუწოდა. ქალმა მიზას ისეთი ზიზლით გაღმობედა, რომ მიზამ ველარ მოითმინა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და მიმავალ ქალს უკნიდან ნადვლიანი სახით დაედმიჯა... თვლებში ცრემლები აუციმციმიდა... მაგრამ აქ მიზა უცებ გამოერკვა... ეს რა ჩავიდინე? — გაიფიქრა მან და რეჟისორისაკენ გაიხედა.

აპარატი შეაჩერეს.

რეჟისორი მიზას მიუახლოვდა და ალტაცებულმა უთხრა:

— მიზა! შენ ნამდვილი კინო-მსახრობი ყოფილხარ! მშვენიერია... დიდებულია... სახე გამომეტყველი გაქვს... ივანე დიმიტრისძე, — მიმართა მან თანაშემწეს, — ეს ბავში წაიყვანეთ ქარხანაში, გამოგვადგება.

— აღბათ ბავშვების თავშესაფარი უნდათ წამიყვანონ, — უცებ თავში გაუეღვა მიზას და ვაპარვა დააპირა. ეს თანაშემწემ შეამჩნია, ხელი მკლავში მაგრად ჩაჭკიდა და ღიმილით შეეკითხა:

— მიზა, რად არ გინდა წამოხვიდე?

— გამიშვი, ნუ მაწვალებ, მე საბავშო სახლში არ წავალ...

— საბავშო სახლში ვის მიყავხარ?... შენ ჩვენთან იმუშავებ, როგორც კინო-მსახიობი. დაკისრებულ როლს თუ პატიოსნად, ბეჯითად შეასრულებ, სურათებშიც ხშირად გადაგიღებთ...

— მერე რატომ უნდა ვადამილოთ?

— ხალხის საჩვენებლად. კინემატოგრაფში ხომ ყოფილხარ!


მიზა უცებ გაშეშდა... ნუთუ ეს არის კინემატოგრაფი... მაგრამ...

მიზა დაიბნა...

— კინემატოგრაფში, თეთრ ტილოზე რომ დარბიან?

— აი, ახლა კი მიხვდი, — წყნარად უპასუხა თანაშემწემ.

— მერე მეც ტილოზე გამოვალ?



ბუნების კუთხე თვითმშრომელთა კოლექტივში (ტფილისი).



პიონერები მიუშაობენ ფესსაცმლის სახელოსნოში (ტფილისი, მე-IV რაიონი).

— ჰო, შენც გამოხვალ... მიშა ისევ საგონებელში ჩავარდა.

— ძია, შე მაინც ვერ გამოიგია... როგორ შეიძლება ტილოზე გამოვიდეს? ისინი ხომ ცოცხალი ადამიანები არ არიან? ისინი მოჩვენებანი არიან...

თანაშემწეს გაეცინა და ალერსიანად უთხრა: — შენ დარჩები ჩვენთან, იმუშავე და ჩქარა ყველაფერს მიხვდები...

თანაშემწემ მიშა შავად გაკრიალებულ ავტომობილში ჩასვა.

— კინო-ქარხნისაკენ... რაც შეიძლება ჩქარა, — მიმართა თანაშემწემ შოფერს.

ავტომობილი ადგილიდან გუგუნით დაიძრა და ამტვერებულ ქუჩაში სრიალით გაქრა.

მიშამ საკვირველებათა ქვეყანაში ამოჰყო თავი. აქ მის გარშემო ყველაფერი არაჩვეულებრივი, ახალი და მოულოდნელი იყო.

რომ რეჟისორის თანაშემწეს არა, რომელსაც მიშა მუდამ თან დაჰყავდა, ის აქედან უთუოდ გაიქცეოდა...

მიშა თბილ წყალში დაბანეს და საცმელების საწყობიდან გამოტანილი სუფთა ტანისამოსი ჩააცვს. ერთხელ მას რეჟისორის თანაშემწემ ალერსიანად უთხრა: — მიშა, შენ ახლა გრიმი უნდა გაიკეთო...

— მერე რა არის, ძია, გრიმი? — უცებ შეეკითხა მიშა.

— აი, ამასაც ახლავე გაიგებ, — წყნარად უპასუხა თანაშემწემ.

მან მიშა ელექტრონით განათებულ ოთახში შეიყვანა, სადაც კედელზე ეკიდა უზარმაზარი სარ-

კე. სარკის წინ ისხდნენ გაპარსული კაცები, რომელნიც სახეს რაღაც საღებავებით იკაზმავდნენ.

— ხედავ, მიშა? ყველა, ვინც კი ჩვენთან მიუშაობს (აქ მათ აქტიორებს უწოდებენ), წვერ-ულვაშს იპარსავს; ეს იმიტომ, რომ სახეზე გრიმი უფრო ადვილად მიუდგეს. იცი გრიმი რა არის? აი, ამ საღებავს გრიმი ეწოდება... გრიმს ხმარობს ყველა მსახიობი, რადგან ის ძლიერ საჭიროა და აუცილებელიც. გრიმის შემწეობით შეიძლება სახე სრულიად გამოიცვალოს...

მიშა სულგანაბული უსმენდა.

— გამარჯობა, ეპიფანე, — მიუბრუნდა თანაშემწე გრიმის გამკეთებელს — აი, ეს ჩვენი მიშა, ჩვენთან სურათში მონაწილეობს, გრიმის გაკეთება უნდა... თუ შეიძლება, ცოტა შეალამაზეთ...

— კარგი, შეიძლება... დაბრძანდით, ამხანაგო მიშა, — თავაზიანად მიმართა მიშას გრიმის გამკეთებელმა.

მიშა სარკესთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა. თვლებდაცვლებული აქეთ-იქით ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა.

იქვე, მიშასთან ახლოს, იჯდა ერთი ხნიერი კაცი. მან სახეზე წვერ-ულვაშში მოხდენილად მიიწეხა, ხოლო თავზე ხელოვნური თმები. ე. ი. პაროკი, გაიკეთა და უცებ ნამდვილ გლეხს დაემსგავსა. ამნაირი გლეხი მიშას თავის მშობლიურ სოფელში ბევრჯერ შეხვედრია.

ოთახში მყოფნი თანდათანობით ნელ-ნელა სხვაფერდებოდნენ, თითქოს მართლა გამოიცვალნენ. გრიმის გამკეთებელმა მიშას სახეზე რაღაც სითხე წაუსვა.



— ამას იმიტომ ვხმარობთ, რომ მსახიობს სახე არ გაუფუჭდეს და გრიმიც ადვილად მიადგეს.

მან მიშას წარბები ყავისფერი ფანქრით მოლამაზა და თავზე ქერა, გრძელთმებიანი პარიკი გაუკეთა. მიშამ სარკეში ჩაიხედა და თავი ველარ გამოიცნო: სარკიდან მას უცქეროდა ვიღაც ლამაზი, სუფთად ჩაცმული ვაჟი. ის ოდნავაც არ ჰგავდა იმ მიშას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ღამეებს სანაგვე ყუთში ათევდა და ქუჩებში სამათხოვროდ დაწანწალებდა.

— ახლა რომ ჩემმა ამხანაგებმა ასე დამინახონ, ნეტავი რას მეტყვიან?! ალბათ ძლიერ გაუკვირდებათ და თან შეეხარებნენ კიდევ, — ფიქრობდა მიშა.

— ახლა კი ტანისამოსის გადასაცმელ ოთახში წავიდეთ, ტანისამოსიც უნდა გამოიცვალო — უთხრა მიშას რეჟისორის თანაშემწემ.

ისინი შევიდნენ ერთ დიდ ოთახში, რომელიც ათასგვარი ტანსაცმელით იყო სავსე. კედელზე ეკიდა ოფიცრის მუნდირები, ჯარისკაცის ფარაჯები, პალტოები, ჩოხები, ახალუხები, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ქალის კაბები, მღვდლის ანაფორები და სხვა.

მიშა გლეხის ბიჭად გამოაწყვეს.

— აი, ხომ ხედავ, ჩემო მიშა! ჩვენ ბევრ სურათს ვიღებთ. სურათებში გამოდიან ხან ჯარისკაცები, ხან მუშები და ხან გლეხები. ყველასთვის საჭიროა შესაფერისი ტანსაცმელი. ეს ტანისამოსები სწორედ ამიტომაც გვაქვს მომარაგებული. გესმის? არაფერ არ იცოდა, რომ მიშა დღეს ჩვენთან მოვიდოდა... ტანისამოსი კი შენ მოსვლამდე დამზადებული გვექონდა. არის შემთხვევა, რომ საწყობში საჭირო ტანსაცმელი არ არის. მაშინ ჩვენ მივმართავთ ხოლმე თერძებს, რომელნიც ტანისამოსს სპეციალურად მსახიობთათვის ჰკერავენ.

აი, დღეს რამდენი რამე გაიგე, ჩემო მიშა!..

შემდეგ გადასაცმელი ოთახიდან გამოვიდნენ. დერეფანში სხვადასხვაგვარად ვადაცმული მსახიობები დადიოდნენ. მსხვილი ღიპიანი მღვდელი ხელში ქარვის კრიალოსანით იდგა ფანჯარასთან და ქარხნის მუშას ვაცხარებით ელაპარაკებოდა. მდიდრულად ჩაცმული ქალი და ქალამნიანი გლეხი ერთად დასეირნობდნენ... თეთრგვარდიელ ოფიცერს წითელ-არმიელისათვის ხელი მოეხვია და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა.

— ახლა წავიდეთ, მიშა, — უთხრა მიშას რეჟისორის თანაშემწემ, — მგონი ჩვენი რეჟისორი მოსულა. იცი მერე, ვინ არის რეჟისორი? ის ჩვენს შორის ყველაზე დიდი კაცია, მას ევალება მსახიობების ამორჩევა, რომელნიც შემდეგ სურათში მონაწილეობენ; ხელმძღვანელობს გადაღებას; ირჩევს შესაფერადგილ-მდებარეობას, სადაც მოქმედება უნდა გაიშალოს; ასწავლის მსახიობებს, თუ როგორ უნდა შეასრულონ ცალკე სცენები; ერთი სიტყვით, რეჟისორი მთავარი ხელმძღვანელია. მაგალითად, რომ მას არ მოენდომებია, შენ ჩვენ საზოგადოებაში ცხვირსაც ვერ შემოაჭყოფდი...

ამ დროს რეჟისორმაც გამოიარა.

— დავიწყეთ, ამხანაგო რეჟისორო? — შეეკითხა თანაშემწემ.

— დავიწყეთ... მგონი აჯობოს...

ატელიეს მიუახლოვდნენ.

მათ შეაღეს კარები, რომელსაც გარედან გაკრულ ქალღმრთელზე ეწერა: „გარეშე პირთათვის შესვლა სასტიკად აკრძალულია“ და ერთ წარმოუდგენლად დიდ დარბაზში შევიდნენ. შენობის კედლები და სახურავი მინისა იყო.

— აი, აქ ვიღებთ სურათებს, — ეუბნება მიშას რეჟისორის თანაშემწემ, — ამ შენობას ატელიე ეწოდება... ეს ატელიე ძველ ყაიდაზეა აშენებული. კინემატოგრაფის გამოგონების პირველ წლებში სურათებს მზის სინათლეზე იღებდნენ და ამიტომ ყველა ატელიე უმთავრესად მინისაგან კეთდებოდა. ახლა კი გამოგონებულია ბევრი ისეთი ლამაზი, რომელნიც სურათის გადაღების დროს მზის მაგივრობას გვიწვევენ. ყველაზე უფრო გავრცელებული ლამაზები ეგრეთწოდებული „იუპიტერის“ ლამაზებია. სურათის გადაღება ახლა უკვე აღარ არის მზისაგან დამოკიდებული. როცა მზეს ღრუბელი გადაეფარებოდა და წამოვიდოდა წვიმა, კინოს მუშაკნი იძულებულნი იყვნენ მუშაობა შეეჩერებინათ და მთელი კვირაობით სცდებოდნენ კარგი ამინდის მოლოდინში.

ახლა საზღვარგარეთ ყოველი მხრიდან დახურულ ატელიებს აშენებენ.

ყველაზე დიდი ატელიეა ბერლინის ახლო (ბერლინი გერმანიის სატახტო ქალაქია) ქ. სტაავანში. ეს ატელიე იმდენად დიდია, რომ შიგ გაყვანილია რკინის გზა, ნიუ-იორკში (მთავარი ქალაქია ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში) დიდ შენობათა ასაგებად თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება, ატელიებს აშენებენ მიწის ქვეშ, სადაც მიმოსვლის გასაადვილებლად აგრეთვე გაჰყავთ რკინის გზებიც.

საბჭოთა რუსეთში ყველაზე უკეთესი ატელიეებია მოსკოვში, ოდესსაში და იალტაში. საზღვარგარეთის ატელიებთან შედარებით ჩვენი ატელიეები, რასაკვირველია, პატარები არიან, მაგრამ რა გაეწყობა, ახლო მომავალში, ალბათ, დიდ ატელიებსაც ავაშენებთ...

რეჟისორის თანაშემწემ აქ უცებ შეჩერდა და ცოტა ხნის დუმის შემდეგ მიშას უთხრა:

— შენ აქ მოიცადე... ნურსად წახვალ. ახლა მეტი დრო აღარა მაქვს... როცა საჭირო იქნება, მე თვითონ დაგიძახებ.

რეჟისორის თანაშემწემ წავიდა, მიშა კი ატელიეს კუთხეში სკამზე ჩამოჯდა:

— აქ სადა ვარ? თავისთვის ფიქრობდა მიშა და უნებურად იღიმებოდა.



ზასარა ბერი

გადმოკეთებული.

I. შავი მღვდელი.

გაზაფხულის წვიმიანი დღე იყო.

ტავოლერეს მწვანედ მოზიბინე დაბლობი ფირუზი ტალღებით ატოკებულ ზღვის სივრცეს მოგაგონებდათ.

დაბლობში ზღვის მახლობლად ზღაპრულ გოლიათივით ამართულიყო გარგანოს მთა. მისი კალთები მაღალი ხეებით იყო დაფარული. მთაზე ერთადერთი ბილიკი მიდიოდა. ბილიკი მთის კალთებს ისე უხვევდა, რომ შორიდან ხელოვნურად შემოვლენებულ სარტყელებს მოგაგონებდათ. უკანასკნელი ბილიკი სადღაც იკარგებოდა.

გარგანოს მთისი მწვერვალზე ძველი, ვეებერთელა, აქა-იქ კედელჩამონგრეული ციხე იდგა. მახლობელი სოფლის მცხოვრები გლეხები მოგვითხრობენ, რომ ის ციხე ერთი გლადიატორის და რომის აჯანყებული მონების ცნობილი მეთაურის სპარტაკის მიერ იყო აშენებული. ეს ციხე მიუვალ ციხედ ითვლებოდა.

გარგანოს მთისკენ მიმავალ ბილიკზე ორი პოლიციელი მიდიოდა. ორივეს სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

პოლიციელები ხანდახან ბილიკებს უხვევდენ და ჩუმი ფორთხვით დიდ ლოდებს და ბუჩქებს ეპარებოდნენ ისეთ სიფრთხილით, თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლოდის ან ბუჩქის იქით ვინმე იმალებოდა. იმედის გაცრუების შემდეგ პოლიციელები ისევ ძველ ბილიკს უბრუნდებოდნენ და მთის ციცაბო აღმართს უდგებოდნენ.

ორივე პოლიციელი მსუქანი და ტანდაბალი იყო; ერთს უფრო მეტი ხნოვანება ეტყობოდა. ის თანამდებობითაც უფროსი უნდა ყოფილიყო.

— ხედავ? გამოჩნდა! — დაიძახა უფრო ახალგაზრდამ.

— სად?

— ეგერ! დაიძალა!..

— საით შეხედე?

— ის ერთი წუთით გამოჩნდა ციხის წინ დიდ ქვასთან.

— აბა, ციხისკენ, ჩქარა!

პოლიციელებმა ნაბიჯს აუჩქარეს, მაგრამ წინსვლა მეტად ძნელდებოდა მათი სიმძიმის გამო, ფეხქვეშ დაღმართზე ქვები უსხლტებოდათ და ორ ნაბიჯს რომ წინ წადგამდნენ, ერთით ისევ უკან იხვედნენ.

როგორც იქნა, მიალწიეს დიდ ქვას, სადაც რამოდენიმე წუთის წინათ ბავში გამოჩნდა, მაგრამ იქაც არავინ იყო.

— იქნება კვალი მაინც ვნახოთ, სთქვა უფროსმა.

ვერც კვალი ნახეს, რადგან ქვას ნაკვლევი ძნელად აჩნდება.

— დასწყევლოს გამჩენმა! — დაიძახა ერთმა — ოფლში უნდა გავიღვაროთ ვიღაც ოხერი ბავშვის გულისათვის!..

— ციხეში შეძვრა ნამდვილად! — სთქვა მეორემ.

— დავილუპეთ: თუ იქ შეძვრა, ვეღარ ვიპოვით.

— უფროც მოვნახავთ.

— შენ გამოუცდელი ხარ, არ გაგვეგება: ბავში მჩატვა, ჩვენ კი სიმძიმით სულს ვეღარ ვითქვამთ. ის კედელზე ადვილად გადაძვრება, ჩვენ კი, ერთი ფეხი რომ დავვისხლტეს, ან ქვა გამოგვენგრეს, მშვიდობით!.. ვერაფერი ვეღარ გვიშველის...

ახალგაზრდა პოლიციელი შეშინდა, მაგრამ ორივემ ციხეს მიაშურა, რადგან მეტი გზა არ იყო.

II. ვიზე ნადიროვან პოლიციელზე?

ისინი ერთთოთხმეტ-თხუთმეტი წლის სოფლელ პატარა ბიჭს მისდევდნენ დასაჭერად. ბავში ფეხმარდი, ფხიზელი, მჩატე და მოქნილი იყო. ის მიდიოდა ციხის გადაღმა მდებარე გამოქვაბულში დამალულ კომუნარ გლეხებთან, რომ მათთვის საინტერესო ცნობა გადაეცა, მაგრამ პოლიციელებს შეხვდა, რისთვისაც განგებ ისეთი გზით წავიდა, თითქოს ციხის ნანგრევებიდან მიდიოდა.

სხვა შემთხვევაში ის სოფლისკენ გადაუხვევდა და ფაშისტებს თავისი მოგზაურობის შესახებ რაიმე გამოგონილ მიზეზს ეტყოდა, მაგრამ ამჟამად მდგომარეობა მეტად სამძიმო იყო: ფაშისტებმა და პოლიციელებმა იცოდნენ, რომ მთის გადაღმა გამოქვაბულ-

ლებში კომუნისტები იმალებოდნენ, და ძნელი იყო მათი თვალის ახვევა.

თუ ბავში პოლიციელებს შეხვდებოდა, ისინი მას ხელად დაიჭერდნენ, მახლობელ სოფელში დაბანაკებულ ფაშისტების უფროსს გადასცემდნენ და იქიდან ფოჯის ციხეში გაგზავნიდნენ, სადაც შემდეგ დაიწყებოდა დაკითხვა, მუქარა, ცემა და წამება. წამებაზე უარესი კი ის იქნებოდა, რომ გარგანოს გამოქვამულში დამალული კომუნარები ვერ მიიღებდნენ სასწრაფო ცნობას, რომელიც მათ გამხეცებელი ფაშისტების ღვეწა-წამებისაგან განთავისუფლებას უქადდა.

ბავშმა, რომელსაც თომაზოს უძახოდნენ, პოლიციელები ერთი საათის წინ დაინახა და მაშინვე თხრილში გადახტა, მაგრამ ერთმა მათგანმა თომაზოს მაინც თვალი მოჰკრა.

— შეჩერდიო!

გარგანოს მიდამოები მან ზეპირად იცოდა, რადგან თომაზოს ხშირად უძებნია იქ სხვადასხვა ბაღალბი, რომლებსაც წამლების დასამზადებლად ხმარობენ.


თხუთმეტ წუთში ციხესთან გაჩნდა, განზე შემოუარა, მაღალ კედელზე ფრთხილად გადაცოცდა და ნანგრევებში ჩავიდა...

III. ნანგრევებში.

— დასწყევლოს ღმერთმა! — დაიძახა უფროსმა პოლიციელმა — ნამდვილად ფილტვების ანთება გამოიჩნდა: სიცხე მწვავეს და ოფლში ვარ გაღვარული.

— შემოვუაროთ! — სთქვა უმცროსმა, როცა პოლიციელები დიდის ვაი-ვაგლახით ციხესთან აცოცდნენ.

— ჯერ შიგნით ვნახოთ!



გარგანოს მთისაკენ მიმავალ ბილიკზე ორი პოლიციელი მიდიოდა.

დაიძახეს პოლიციელებმა, მაგრამ ბავშმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ გაუგონია, თხრილებში გაძვრა და ბილიკებში მიიმალა. პოლიციელები შორს იყვნენ და თომაზო ნაცნობი ბილიკებით გარგანოს ციხისკენ გაეშურა. გზაზე ხან ერთ ლოდს ეფარებოდა და ხან მეორეს; როცა ციხესთან ახლოს მდებარე ლოდთან მივიდა, გაბედულად გადმოხედა პოლიციელებს, რომლებიც მას კვალდაკვალ აედევნენ.

— ალბათ, მწარედ მაგინებენ! — გაიფიქრა ბავშმა.

თომაზო პირდაპირ ციხისკენ წავიდა იმ აზრით, რომ პოლიციელებისათვის თვალი აეხვია და დაერწმუნებია, რომ ის ციხის ნანგრევებს შეეფარა.

— არა, გარეთ! სიფრთხილეს თავი არა სტკივა! შეიძლება შიგნით არც კი შესულა.

— ხედავ, კედლის თავზე ძეხვის ნაჭერია. ბავში ნამდვილად ციხეში შესულა და ძეხვის ნაჭერი კედელზე დავარდნია.

— უნდა შევიდეთ! — სთქვა უფროსმა.

— კი, მაგრამ ერთი გარეთ უნდა დარჩეს, რომ ბავში დაიჭიროს, თუ ის ვაქცევას დააპირებს.

— აბა, შედიო! — უთხრა ახალგაზრდამ.

— მე შევიდე?

— ჰო, შენ.

— არა, მე ვერ შევალ!


— რატომ ვერ შევალ?

— მე უფრო მძიმე ვარ: ერთი კენჭიც რომ მოძვრეს, უფსკრულში გადავიჩეხები და ცოცხალს ველარ მნახავ.

დიდხანს ჩხუბობდენ.

კედელზე გადასვლას ვერცერთი ვერ ბედავდა.

— გიბრძანებ! მოიჩა! — სთქვა უფროსმა.



ბავში ქვას ამოეფარა.

ახალგაზრდამ ბურტყუნით რაღაც წაილაპარაკა. არ უნდოდა შესვლა, მაგრამ იძულებული გახდა უფროსს დამორჩილებოდა.

ორივემ რევოლვერები ამოიღეს.

უფროსი გარეთ დარჩა.

უმცროსი ძველ გადასავალზე გადაცოცდა. ციხეში ბნელოდა, მაგრამ მან მაინც შენიშნა, რომ აქა-იქ დიდი ორმოები იყო ამოთხრილი, რომლებშიაც წყალი უნდა ყოფილიყო ჩამდგარი, რის გამოც ციხეში ქაობის და ხავსის სუნე იდგა.

— ერთი ფეხი რომ დამიცდეს, ჯურღმულში ჩავვარდები. ნაბიჯის გადადგმაც კი სახიფათოა. არ შეიძლება... გიყი ვარ ვილაცა ბავშვისათვის თავი მოვიკლა? — გაიფიქრა ახალგაზრდა პოლიციელმა და ბავშვის ძებნის ნაცვლად ციხის კუთხეში მიიმალა.

როდესაც ახალგაზრდა ციხეში დამჯდარი ისვენებდა, უფროსს გარეთ სიარული მოსწყინდა და დიდი სიფრთხილით, ისიც ამხანაგის ცლით გათამამებული, ციხის კედელზე გადაცოცდა იმ განზრახვით, რომ გაეგო, თუ რა ბედი ეწია მის უმცროსს. მაგრამ დაბლა ჩასვლის დროს სოველ ხავსზე ფეხი აუხსლტა და მთელი ტანით ციხის ძირზე დაგუბებულ ტბაში გაგორდა. როგორც იქნა, რის ვაივავლახით წამოდგა. გულში თან ბედს იწყევლიდა და თან ბავშს აგინებდა.. უცებ ხელახლა ფეხი აუხსლტა და ბნელაში რაღაც რბილ საგანს წააწყდა. ის მისი ამხანაგი იყო, რომელმაც თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ბრუნდებოდა ამბის მისატანად.

— უფაროდ ვერაფერს მოეძებნით! — სთქვა ახალგაზრდამ.

— ერთ-ერთი უნდა წავიდეთ: სხვებიც უნდა მოვიშველოთ, — სთქვა უფროსმა.

უცებ თოფი გავარდა.

— ჩვენებია, ფაშისტების რაზმია!

დაიძახა ისევ უფროსმა და ორჯერ გაისროლა ჰაერში რევოლვერი.

ნახევარ საათში ციხესთან ათი შეიარაღებული კაცი გაჩნდა. მათში სამი პოლიციელი იყო და შვიდი ფაშისტი.

ისინი სასწრაფოდ გადავიდნენ ციხეში.

იქ დამხდურმა ახალგაზრდა პოლიციელმა გააცნო მათ საქმის ვითარება. ფაშისტები და პოლიციელები ციხის ყველა გადასავალთან ჩასაფრდნ და გარეთაც მცველები გააჩერეს.

ყველა გამხიარულდა.

დარწმუნებული იყვნენ, რომ ბავში მათი ხელიდან ვერ წავიდოდა.

IV. დევნილება.

გარგანოს მთის კალთები გველივით დაკლაკნილი გრძელი და ჩაბნელებული გამოქვაბულებით არის დახურული. მთას სამივე მხრივ ზღვის რკალი აკრავს, თვით კალთები კი წაბლის და მუხის უღრანი ტყეებით იფარება. გამოქვაბულებში კირნარევი წვეთების ცემა გაისმის.



პოლიციელები ციხის ნანგრევებში ეძებდნენ თომაზოს.

სად თავდება გამოქვაბული, არავინ იცის: მის სიღრმეში შესვლას ვერაფერ ვერ ბედავს.

ამბობენ, თითქოს გამოქვაბულები ციხიდან გაყვანილ გვირაბს უერთდებოდეს, რომელიც ზღვის ნაპირებზე გრძელდება.

ერთ-ერთ ასეთ გამოქვაბულში იმალებოდნენ ფაშისტებისაგან დევნილი, მახლობელი სოფლებიდან გამოქცეული კომუნისტები.

ერთი თვის წინეთ ისინი გმირულად იცავდნენ რევოლუციის უკანასკნელ ბარიკადებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ უკან დასახვევი გზები გადაეჭრა და უკანასკნელი სოფელი, სადაც ისინი თავს იფარებდნენ, ფაშისტების დამსჯელმა რაზმებმა დაარბიეს და ნაცრად აქციეს, ისინი ამ გამოქვაბულს შეეფარნენ.

ერთ თვეზე მეტია, რაც ისინი ამ ნესტიან, ბნელ და დაბალ ხვრელებში ხობავდნენ და ყოველ წუთს მოუთმენლად ელოდნენ თავისუფლებას, ან მტრისგან დატყვევებას. დატყვევება კი წამებას ან სიკვდილს ნიშნავდა.

გამოქვაბულში, სადაც დევნილები იმალებოდნენ, ერთ კუთხეში პატარა ცეცხლი ენთო. ცეცხლთან ქვის ნატეხებზე სამი კაცი ჩამომჯდარიყო. იქვე გამხმარ ფოთლებზე სამი კაცი იწვა. ყველა დასერილი, დაწუნწული, წვერმოშეგებული და თმა-აბურძღნული იყო.

— რა კარგია ერთი ოქროვანული ან მკარონი! სთქვა ერთმა.

- გშია, ფელიჩე?
- შშია კი არა, კუჭი მიხმება.
- მეც ისე ვარ, რომ თუ რამე არ მოგვიტანეს, მგონი ფოთლების ქამა დავიწყო.
- ნედლი რომ იყოს, არ დავიწუნებდით.
- კავშირი არ გვაქვს ზურგთან ხეირიანი.
- ჩემი ბიჭი თომაზო წინა კვირას ფაშისტებს ფეხში დაუჭრიათ და არ ვიცი, გაიქცა, მოჰკლეს თუ ცოცხალია.

— ალბათ ცოცხალია, თორემ უთუოდ გვაცნობებდნენ.

- ჩუ!..
- რა იყო?
- რაღაც ხმა ისმის!
- აბა, მოვეშადლოთ!

მძინარე ამხანაგები ხელად გააღვიძეს, უცებ კუთხეებში ჩასაფრდნენ, თოფები მოიმარჯვეს და ერთი ამხანაგი დასახვერად გააგზავნეს, რომ საჩქაროდ გაეგოთ საქმის შინაარსი.

V. განვირული.

თომაზო ციხეში შესვლისთანავე მეორე კედელზე გადავიდა და ტყით და მაღალი ბუჩქებით დაბალი ბილიკით კომუნარების საფარი გვირაბისკენ დაეშვა.

ფაშისტებმა და პოლიციელებმა ციხის ყველა კუნჭული გაშინჯეს, ყველგან გაჩხრიკეს, მაგრამ ბავშვის კვალიც ვერ ნახეს.

ისინი ბრაზობდნენ და ჯავრს იქ დამხდური ორი პოლიციელის ლანძღვა-გინებით იყრიდნენ, უკანასკნელნი კი ერთმანეთში ჩხუბობდნენ და ერთიმეორეს აბრალებდნენ ბავშვის ვაპარვას.

— ჩვენ შევასრულეთ მოვალეობა: მთა და ციხე გაჩხრიკლია და არავინ არ არის, — სთქვა რაზმის უფროსმა.

— არ არის! არსად არ არის — დაუმატეს სხვებმა. — ჩვენ მეტი აღარაფერი დავგვრჩენია, იმის გარდა, რომ ბარში ჩავიდეთ და სააღყო რაზმს შევუერთდეთ! — დაუმატა რაზმის უფროსმა.

ოლქის მართველმა და ფაშისტების უფროსმა გადასწყვიტეს გარგანოს მთის და მისი მიდამოების ხელახლად გაჩხრეკა.

მათ იცოდნენ, რომ მთის მიდამოებს ფაშისტებმა და პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს და რიყ-რაჟიდანვე ტყეებში და გვირაბებში კომუნარი გლეხების ძებნა დაიწყეს.

ფაშისტებს იმდენი ძალა მოემატათ, რომ მათი რკალიდან გამძრომა თომაზოსთვის შეუძლებელი იყო.



ერთ-ერთ გამოქვაბულში იმალებოდნენ ფაშისტებისაგან დევნილი კომუნისტები.

იმ ღამეს ბავში დატყვევებას მხოლოდ იმით გადაარჩა, რომ ტყის სიღრმეში შეიქრა და ბუჩქებში მიიმალა.

დღით ფაშისტებმა უკვე ტყის ჩხრეკაც დაიწყეს. რა ჰქნას ბავშმა?

თუ ტყეში დარჩა, მასაც დაიჭერენ. გაჰყვეს ხმარებს და სცადოს გაქცევა? არ შეიძლება.

ეგ ხომ ლალატი იქნება? მან იცის, რომ ფაშისტებს ძალები თანდათან ემატებათ.

მათი ალყა თანდათან გაფართოვდება და ზღვის ნაპირამდე მიალწევს, სწორედ იმ ადგილამდე, სადაც ზღვის პირას კომუნარების გამოქვაბულიდან

გასაქცევი გვირაბი გადის. ფაშისტები ნახავენ ამ გასაფლას, გამოქვაბულებში მიიმწყვდევენ კომუნარებს, გვირაბიდან გამოსვალ გზას გადაუჭრიან და ყველაფერი დაიღუპება.

არა, არ შეიძლება.

მათ აუცილებელ დაღუპვას თომაზოს საკუთარი თავის განწირვა ურჩევნია.

ბავში კომუნარების საფრისკენ გაემართა.

სიფრთხილემ შიმშილიც დაავიწყა.

ძეხვის დაკარგვა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა კომუნარების საფარ გამოქვაბულთან მივიდა.

VI. რაღამეში.

— თომაზო! თომაზო მოსულა!

დაუძახა მხიარული ხმით თავის ამხანაგებს გვირაბში ხმაურობის შემოსმის დროს გაგზავნილმა კომუნარმა.

თომაზოს განხარებულმა გლახებმა ალყა შემოარტყეს და ამბების გამოკითხვა დაუწყეს.

ახალი ამბით ყველა ისე დაინტერესებული იყო, რომ საქმელის ჩამორთმევაც კი დაავიწყდათ.

თომაზო მოუყვა მათ ფაშისტების ალყის და სოფლების ახალი დარბევის შესახებ, ამასთან ერთად შეატყობინა, რომ ზღვასთან, გვირაბის გასავალში, მათ უცდიან ამხანაგები. ყველაფერი მზად იყო გასაქცევად. საჭირო იყო მხოლოდ სიჩქარე. თომაზომ აუხსნა, თუ როგორ და რა გზით უნდა

წასულიყვენ. ჩაჯდებოდნენ თუ არა ნაფში, ისინი გავიდოდნენ ადრიატიკის ზღვაზე, გადასჭრიდნენ მას და მივიდოდნენ ალბანეთში, იქ კი შეეცდებოდნენ, რომ უფრო საიმედო ადგილს გადაეგზავნათ.

— ახლავე, ახლავე გაემართეთ, თორემ ალყა ფართოვდება; გასავალს დაკეტენ, ნავსაც დაიჭერენ და დაიღუპებით!

აჩქარებდა თომაზო.

— შენ რაღას იზამ? — ჰკითხა ბავშს ერთმა კომუნარმა.

— მე როგორმე დავუძვრები, ყველა ადგილი ხუთი თითივით ვიცი.

ამხანაგებმა ხელად მოხსნეს გვირაბის შესავალთან ბავშვის მოსვლისას დაყენებული ყარაული, გამოეთხოვეს ბავშს და გვირაბის გზით ნავისკენ გაემართენ.

თომაზო მარტო დარჩა.

საშინელ დაღლილობას გრძნობდა და თან ძილიც ერეოდა.

— ცოტას წავიძინებ და შემდეგ ანჯგოლსაკენ წავსვლა აჯობებს. ბევრი მეგობარი მყავს, დამმალოვენ! გაიფიქრა ბავშვმა.

ორი საათის შემდეგ გაიღვიძა.

გამოქვაბულში ბნელოდა და საშინლად ციოდა. გარეთ გამოვიდა.

ცა მოღრუბლულყო და ნიაფი ტყის ფოთლებს აშრიალედა.



თომაზო მოუყვა მათ ფაშისტების ალყის შესახებ.



უეცრად მის წინ ათ ნაბიჯზე რაღაც დიდმა შავმა ცხოველმა გაიბრინა.

— გარეული ღორი! — გაიფიქრა ბავშვმა

გარგანოს მთებში უხსოვარი ღროიდან ბუნაგობდენ გარეული ღორები და სხვა ნადირები, მაგრამ თომაზოს ზემოაღნიშნული ცხოველი ჯერ არა ჰყავდა ნახული.

ერთი წუთის შემდეგ ტყე ახმაურდა: გამოიბრინა მეორე ღორმა, მესამემ, მეოთხემ, მას მოჰყვა რაღაც ძაღლის მსგავსი ცხოველი, შემდეგ მელა, კურდღლები და შემდეგ ისევ ღორები. ისინი ერთი მიმართულებით მირობდენ.

თომაზო მიხვდა, რომ ცხოველების დაფრთხობის მიწეზი ფაშისტების ალყა უნდა ყოფილიყო.

— დავიღუპე!.. გაიფიქრა ბავშვმა, — ანჯელოს გზა ვადაჭრილია.

თომაზო ერთ ადგილას იდგა.

მალე უფრო საშინელმა ფიქრმა გაუელვა.

— მოასწრებენ ზღვასთან გასვლას ჩვენები?..

ერთი მათგანიც რომ სადმე ნაპრაღში ჩავარდეს და ნახევარი საათით დაიგვიანონ, ყველაფერი დაიღუპება.

რა უნდა ჰქნას მან?

ანჯელოში ვერ ჩავა.

ვერც ტყეში დაიმალობა.

თომაზო გამოქვაბულში შებრუნდა. პატარა ცეცხლის ნაღვერდული კიდეგ ბეჭუტავდა.

უეცრად ბავშს რაღაც ახალმა აზრმა გაუელვა.

— მე შემიძლია ფაშისტების რაზმი ზღვის პირას მიმავალი გზებიდან ავშალო და ყველანი გვირაბებში შემოვიტყუო. სანამ ისინი ყველა გვირაბს გაჩხრეკენ და იმედგაცრუებულნი უკან გაბრუნდებიან, მანამ ჩვენები ზღვასთან მისვლას და გაპარვას უთუოდ მოასწრებენ, მე კი სულერთია მაინც გავები...

თომაზომ ნაკვერცხალი გააღვივა; მიაყარა ფოთლები, შეკრიბა ხმელი შეშა და დიდი ცეცხლი და ანთო, რის გამოც გვირაბის შესავალთან იმხელა კვამლის სვეტი ავარდა, რომ მისი დანახვა ათი ვერსიდან შეიძლებოდა.

მას უნდოდა ფაშისტები დაერწმუნებია, რომ კომუნარები გამოქვაბულში იმალებოდნენ და ამით მათი ყურადღება სოფელში გასავალი გზებიდან და ზღვის ნაპირებიდან გვირაბებისკენ გადაეტანა და თან, რომ ფაშისტებს ძებნაში მეტი დრო დაკარგოდათ, მეორე გვირაბში შევიდა და იქაც ასეთი ცეცხლი დაანთო; შემდეგ მესამეში, მეოთხეში და მალე მახლობელი მიდამოები კვამლის ნისლში გახვია. ორი ვერსის მანძილზე კიდეგ სხვა გამოქვაბული იყო.

თომაზო გაიქცა და იქაც დიდი ცეცხლი დაანთო. საბედნიეროდ, მას ასანთი ჰქონდა.

— შეხედეთ, კვამლი!

— ყოფილან!

— მანდ ყოფილან!

იყვირეს გახარებულმა ფაშისტებმა და ყველა მათი ძალებით გამოქვაბულისკენ დაიძრენ.

გვირაბებში ისეთი კვამლი იდგა, რომ ფაშისტები სულს ძლივს ითქვამდნენ.

ყველაფერი გადაატრიალეს, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს და რამდენი საათის შემდეგ ისევ ტყეში და გზებში გაიშალენ ბედის წყევლით და კომუნარების ლანძღვა-გინებით.

ლამეც მოვიდა.

რიყრაჟზე თომაზო ზღვის ახლო გამოძვრა ნაცნობი გვირაბის გასავლიდან.

საბრალო ბავში...

ველარ იცნობდით.

თვალეზა ცვენილი, ტალახში ამოსვრილი, ტანისამოს შემოხვეული და დაწუნწული, ის მთვრალივით ბარბაცობდა. ლამით დამშეულს რკო ეჭმა და მუცელში სიცხე ჰქონდა გაჩენილი. გაცივებულს და მთელი ლამით უძინარს თავი სტკიოდა.

თომაზო გადარჩენას აღარ ფიქრობდა, ის მხოლოდ გარბოდა, გარბოდა, როგორც მხეცი, რომ ფაშისტების ალყას გაშორებოდა.

— არიქა!

— არ გაუშვათ!

— გამოჩნდა!

— ბავში გამოჩნდა!

დაიყვირეს თომაზოს გამოჩენისთანავე ფაშისტებმა.

— ეს ძაღლის ლეკვია, ჩვენ რომ დაგვეშალა!

გესლიანად დაიძახა პოლიციელმა, რომელიც თომაზოსგან ასი მეტრის მანძილზე იყო ჩასაფრებული.

ბავშვმა მოიხედა.

რამდენიმე ფაშისტმა თოფი მოიმარჯვა.

— არ ესროლოთ! ცოცხალი უნდა ჩავიგდოთ! დაიძახა ერთმა.

თომაზო სწრაფად ზღვაში გადაეშვა.

ფაშისტები და პოლიციელები უკან დაედევნენ. თოფის ხმა მოისმა.

ჩაძირული თომაზო ერთი წუთით წყალმა ზევით ამოატივტივა, მაგრამ ისევ ძირისაკენ წაიღო. ის სასიკვდილოდ იყო დაჭრილი.

— დაიხრჩო! — სთქვა ერთმა პოლიციელმა.

— დაიცა, იქნებ კიდეგ ამოტივტივდეს!

დაიძახა მეორემ.

— თუ გამოჩნდა, ტყვიას პირდაპირ კეფაში ვახლი!

ჩაილაპარაკა შეხვალათიანმა ფაშისტმა და თოფი მოიმარჯვა.

მაგრამ ამაოდ: თომაზო აღარ გამოჩენილა

როგორ იმხანობდა ქართული წითელი ჯარი.

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკური ჯარი არ განირჩეოდა მეფის ჯარისაგან. ჯარისკაცი ამ დროს არავითარი უფლებებით არ სარგებლობდა. ოფიცრებად მენშევიკურ ჯარში თავად-აზნაურობა მსახურობდა, რომლის მოპყრობა ჯარისკაცისადმი ისეთივე იყო, როგორც მეფის დროს. ამიტომ ჯარისკაცებში დიდი უკმაყოფილება იყო. უკმაყოფილებას კიდევ ის ბადებდა, რომ მენშევიკური მთავრობა მეტ ყურადღებას სახალხო გვარდიას აქცევდა. ამ უკანასკნელს ტანსაცმელსაც კარგს აცმევდნ და ჯამაგირსაც მეტს აძლევდნ.

მენშევიკური ჯარი სრულიად არ წარმოადგენდა რევოლუციონურ არმიას; ეს ჯარი ემსახურებოდა კონტრ-რევოლუციას, ის მოქმედებდა ინგლისელ და გერმანელ ჯარებთან ერთად, როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე საქართველოს გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ.

მენშევიკურ ჯარში არავითარი დისციპლინა არ არსებობდა და ამ მიზეზის გამო ხშირი მოვლენა იყო დეზერ-

რობის 1921 წლის 11 მარტის დეკრეტით მენშევიკური მთავრობის ჯარი და სახალხო გვარდია დაშლილად იქნა გამოცხადებული და ამავე წლის 21 მარტს საქართველოს სამხედრო და საზღვაო კომისრის ამხ. შ. ელიავას (ახლა ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეა) მიერ ქ. ბათუმში გამოცემულ იქნა ბრძანება ქართული წითელი ჯარის შესადგენად. ამგვარად, 1921 წლის 21 მარტიდან იწყება ქართული წითელი ჯარის არსებობა. მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ, ჩვენი გლეხობისა და და მუშების დახმარებით, მაინც შესძლო ქართული წითელი ნაწილების შედგენა. წითელი ჯარის ხელმძღვანელების დაუღალავი მუშაობით და საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თანდათან ივსებოდა მშრომელებით ქართული წითელი ნაწილები.

პირველ ხანებში დიდ დაბრკოლებებს ჰქონდა ადგილი. ქართული წითელი ლეგიონები შევსებულ იქნა ძველი მეთაურებით, რომლების უმეტესი ნაწილი განზე იდგა და სამსახურს გულგრილად ასრულებდა. ამიტომ საჭირო შეიქნა სამხედრო სკოლის დაარსება, რომელიც მისცემდა წითელ ლაშქარს ახალ მეთაურებს, მუშებისა და გლეხებისაგან გამოსულებს. ამიტომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობის ბრძანებით 1921 წელს ტფილისში დაარსდა ქართულ მეთაურთა სკოლა.

ქართული წითელი ჯარი უყურადღებოდ არ დასტოვა მუშათა კლასის დიდმა ბელადმა, ამხ. ლენინმა; 1922 წლის 13 იანვარს ქართული წითელი ჯარის შედგენის შესახებ ის ამხ. სერგო ორჯონიკიძეს სწერდა, რომ დროზე უნდა შედგენილიყო ქართული წითელი ნაწილები.

საყვარელი ბელადის ანდერძს პირნათლად ასრულებენ საქართველოს მუშები და გლეხები და კომუნისტური პარტიის მეთაურობით ქართული წითელი ჯარის საკეთილდღეოდ ზრუნავენ.

1922 წლის დამლევდნ ჩამოყალიბდა საცხებით ქართული წითელი ნაწილები, რომლებიც ძირითადი ქართული მსროლელი დივიზიის გარშემო შემოიკრიბნ. ამის შემდეგ მიეცა ქართული ჯარის შედგენას ნორმალური ხასიათი.

ამგვარად, ძირითად ქართულ მსროლელთა დივიზიას საძირკველი მტკიცედ ჩაეყარა.

საპატივმლოს საგჯოთა პიკველი უკილობა ქართული წითელი ჯარის უმსახუბ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამხ. ლენინმა ქართული წითელი ჯარის შედგენას დიდი ყურადღება მიაქცია და ამხ. ს. ორჯონიკიძეს დაავალა, რომ ეს საკითხი საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დასმულიყო.

1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა საქართველოს პირველი ყრილობა. ამხ. შ. ელიავამ გააკეთა მოხსენება „ქართული წითელი ჯარის შესახებ“. მან სთქვა: „ტყუილია, ამხანაგებო, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არსებობდეს, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ ამ სახელმწიფოს თავისი არსებობისა და დამოუკიდებ-




სამხედრო კუთხე მე-V-ე პიონერ-კოლექტივში (ტფილისი, მე-III-ე რაიონი).

ტირობა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მითვისება. სახალხო გვარდიელები უფრო ცუდად იქცეოდნ. ხშირი იყო მათ მიერ მოქალაქეთა შეურაცხყოფა, რისთვისაც პასუხს არასდროს არ აგებდნ. ამავე დროს გვარდიასა და ჯარს შორის მუდმივ ქიშპობას ჰქონდა ადგილი, ხოლო ზოგჯერ დიდი უთანხმოებაც იჩენდა ხოლმე თავს, როგორც, მაგ. სამხრეთ ოსეთის გლეხთა აჯანყების დროს: იქ გაგზავნილ მენშევიკურ ჯარსა და გვარდიას შორის უთანხმოება იქამდე მივიდა, რომ კინალამ ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. გვარდიელების თავაშეებას საზღვარი არ ჰქონდა, რაც დიდად აწუხებდა საქართველოს მშრომელ ხალხს.

ყოველივე ამას ბოლო მოელო 1921 წლის 25 თებერვალს.

ქართული წითელი ჯარის უფლანა და ამხ. ლენინის წერილი.

მენშევიკური მთავრობისაგან განთავისუფლებული საქართველოს მუშები და გლეხები შეუდგნ ქართული წითელი ჯარის შედგენას. საბჭოთა საქართველოს მთავ-



ლობის შესარჩენად და დასაცავად არ ეყოლება თავისივე შეიარაღებული ძალა. რუსეთის გლეხები და მუშები არ არიან ვალდებული ყოველთვის დარაჯად უდგენ სხვა ერებს. საჭიროა საქართველომ თავისი საშოდან წარმოშვას ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელსაც შეეძლება თავის წითელი სამშობლოს დაცვა. საქართველოს ხალხი ჯერჯერობით მიჩვეულია სხვისი ძალ-ღონით უზრუნველყოფის თავისი თავის დაცვა; დადგა დრო, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა თვითონ დაიცვას თავისი თავი. მუშათა და გლეხთა დაცვას ჩვენ შეეძლება ევროპის იმპერიალიზმისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვეყოლება წითელი არმია. მხოლოდ მისი მფარველობის ქვეშ შეგვიძლია დავასრულოთ ჩვენი მეურნეობის შენება. საძირკველი ქართული წითელი ჯარისა უკვე ჩაყრილია, გვაქვს მოწყობილი შეერთებული სამხედრო ერთეული. მისი გამაგრება და განვითარება,—აი ძირითადი და უახლოესი ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში“.

ამავე საკითხის შესახებ იმავე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ორჯონიკიძე, რის შემდეგ საქართველოს საბჭოთა ყრილობამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„საქართველოს საბჭოთა ყრილობა უბრძანებს ხელისუფლების ყველა ორგანიზაციას ცენტრში და ადგილებზე, რომ თავისი მუშაობის პირველ რიგში დააკმაყოფილოს ჯარის საჭიროებანი, უზრუნველყონ იგი შესაფერისი შენობებით, სურსათით და სხვა მარაგით. ჯარის პოლიტიკური აღზრდა შესაფერის სიმალლეზე უნდა იქნეს დაყენებული“.

ქართული წითელი ჯარი ებრაჰვის მხარეებთან ერთად.

ქართული ჯარი დღიდან შედგენისა გამუდმებით ებრძოდა მშრომელთა მტრებს. ეს უკანასკნელნი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვერ ისვენებდნენ და აქა-იქ გამოსვლებს იწყებდნენ, გასაბჭოების პირველ ხანებში ქართულ წითელ ჯარს ბრძოლა უხდებოდა მენშევიკურ ბანდებთან. 1922 წელს დაიწყო მოქმედება ყოფილმა მეფის ოფიცერმა, თავადმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. ჩოლოყაშვილის მოქმედება მენშევიკების და მემარჯვენე პარტიების პირდაპირი ხელმძღვანელობით იყო გამოწვეული. პირველი ბრძოლა, რომელიც ქართულ წითელ ჯარს შეხვდა, ეს იყო ხევსურეთში ჩოლოყაშვილის ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც შემდეგ ჩოლოყაშვილის სრული განადგურებით დასრულდა.

ამავე დროს გურიაში მოქმედება დაიწყო ბანდიტ-მენშევიკებმა. ეს უკანასკნელნი რამდენჯერმე დაეცნენ ოზურგეთს და გაცარცვეს; ქართული წითელი ჯარი ამ ყაჩაღებს ებრძვის და სასტიკად ამარცხებს.

ამავე წელს ქუთაისიდან გახიზნული მენშევიკები თავს აფარებენ სვანეთში. ქართული წითელი ჯარის ნა-

წილებმა 1922 წლის აპრილში იქაც სასტიკად დაამარცხეს ბანდიტები და სვანეთის მშრომელი ხალხი გაათავისუფლეს დაუპატიებელი ავანტიურისტებისაგან.

გურიაში 1922 წელს ბანდიტებისაგან მოსვენება არ იყო. 1922 წლის 20 დეკემბერს ეტლით მოდიოდა ოზურგეთის მილიციის უფროსი ამხ. მდინარაძე; სოფ. ვაშლოვანთან მას დაეცნენ ბანდიტები და მოჰკლეს. ეს საზიზღარი ამბავი არ გამოპარვიათ ოზურგეთში მყოფ ქართული წითელ ჯარის ნაწილებს და აწ განსვენებულ ამხ. საშა ობოლაძის მეთაურობით ქართულმა ძირითადმა ათასეულმა მკვლელები მაშინვე შეიპყრო და მთავრობას გადასცა. 1922 წელს თიანეთის მაზრაში არა ნაკლებ გამრავლდა ბანდიტიზმი, აქ გამოჩნდნენ ყაჩაღები, რომელთაც ახლო კავშირი ჰქონდა ჩოლოყაშვილთან. მაგრამ მათ წინააღმდეგ გაიგზავნა ქართული წითელი ჯარის რაზმი ამხ. კობიძის მეთაურობით, რომელმაც კიდევაც გაათავისუფლა ეს კუთხე ყაჩაღებისაგან.

ამგვარად, საბჭოთა მთავრობამ ქართული წითელი ჯარის და ადგილობრივი მშრომელების დახმარებით საგნებით მოსპო ქურდობა და ბანდიტობა. მაგრამ გურიაში არ ცხრებოდნენ მენშევიკები და ბანდიტურ გამოსვლებს მაინც აწყობდნენ; ამიტომ 1923 წლის თებერვალში გურიაში ქართული ჯარის სხვა ნაწილებთან ერთად გაგზავნილ იქნა ძირითადი ათასეული ამხ. ს. ობოლაძის მეთაურობით; ამხ. ობოლაძემ შესძლო გურიის განთავისუფლება ბანდიტებისაგან, მაგრამ თვით ამხ. ობოლაძე 10 თებერვალს სიცოცხლეს გამოასალმეს. მასთან ერთად იქ დაიღუპნენ საუკეთესო წითელი მეთაურები: ამხ. ამხ. სანიკიძე და ჩუბინაშვილი.

ქართული წითელი ჯარის გმირობა და მამაცობა უფრო ნათელი იყო 1924 წლის აგვისტოში, როდესაც ადგილობრივი მენშევიკების „პარტიტულმა კომიტეტმა“ საზღვარგარეთ გაქცეული მენშევიკების დახმარებით დაიწყო გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ გამოსვლაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი თავად-ახუნაურობა, ვაჭრები და სამღვდლოება. მშრომელი გლეხობის დახმარებით ქართულმა წითელმა ჯარმა ამ კონტრ-რევოლუციონურ ავანტიურასაც ბოლო მოუღო. ამგვარად, ჩვენს წითელ ჯარს მდიდარი ისტორია აქვს. თავისი არსებობის განმავლობაში წითელმა ჯარმა შესძლო მრავალჯერ დაემტკიცებია თავისი კარგი მომზადება ბრძოლისათვის და თავდადება მუშებისა და გლეხების საქმისადმი.

საქართველოს მუშებს და გლეხებს შეუძლიათ თამამად სთქვან, რომ მათ ჰყავთ ერთგული და ბრძოლის უნარის მქონე წითელი არმია. ჩვენი პიონერების ვალია—იცოდნენ ქართული წითელი ჯარის ისტორია, პიონერები უნდა დაუახლოვდნენ წითელ ჯარს.

ალ. გორგაძე.

პიონერთა საზამთრო მოედანი.

საქართველოში საკმაოდ მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც ზამთრობით თოვლი ბლომად მოდის და ყინვაც საგრძნობელი იცის. ასეთია, მაგალითად: სამხრეთ ოსეთი, სვანეთი, ახალქალაქის, ახალციხის, რაჭის, დუშეთის მაზრები, აჭარისტანის, ტფილისის და შორაპნის მაზრების ნაწილები და სხვა, მაგრამ საქართველოში ისეთი ადგილიც ბევრია, სადაც თოვლი ზამთრის განმავლობაში თითქმის არ მოდის და ყინვებიც მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ამისდა მიხედვით საქართველოში შესაძლებელია ორი ტიპის მოედნის მოწყობა.

1. მოედნები თოვლიანი ადგილებისათვის და
2. მოედნები უთოვლო ადგილებისათვის.

საზამთრო მოედნების მოწყობა.

ა) თოვლიანი ადგილებისათვის.

თოვლიან ადგილებში საზამთრო მოედნის მოწყობა სასურველია არა სკოლის და კოლექტივის ვიწრო ეზოში, არამედ ფართო და თავისუფალ მოედანზე (მხოლოდ იმ პირობით, რომ მის მახლობლად იმყოფებოდეს ბინა გასართობად).

მოედანზე მოწყობილი უნდა იქნას თოვლის მთა ციგაობისათვის და აგრეთვე გლუსუნებით (коньки) სასრილო წრე.

თოვლის მთის მოწყობა.

სასრილო მთად უმჯობესია გამოვიყენოთ ბუნებრივი მთა, ან დაქანებული ადგილი. თუ ასეთი არ მოიპოვება, მაშინ შეიძლება ხელოვნური მთის გაკეთება.

ამისათვის საჭიროა თოვლის ბლომად აგუნდავება და მისგან მთის გაკეთება. რომ უფრო კარგად დასრილდეს ასეთი მთიდან ცივა, საჭიროა წყლის დასხმა. შესაძლებელია ასეთივე მთების გაკეთება ფიცრების საშუალებით. მთის დაქანება მეტად დიდი არ უნდა იყოს და სასრილო გზაზე არავითარი საგნები არ უნდა ეწყოს (მაგ. ბოძი, ფიცრები და სხვა). მთაზე ასასვლელად საჭიროა საფეხურების გაკეთება.

სასრილო წრე (გლუსუნებით).

გლუსუნებით სასრილო წრის გასაკეთებლად საჭიროა სწორი და მაგარი ნიდაგი, რომელიც თოვლისაგან უნდა იქნეს განთავისუფლებული. ნიჩბების და ბარის საშუალებით თოვლისაგან სრულიად გასუფთავებულ მოედანზე წყალი უნდა დაისხას. ამის მოწყობა საჭიროა, რათქმა უნდა, ყინვიან დღეში და წყალი სარწყულიდან უნდა იხმებოდეს, რომ იგი თანასწორად გაიყინოს და ყინულს ერთნაირი სისქე ჰქონდეს. რომ ყინულს შესაფერისი სისქე ექნეს (15-20 სანტიმეტრი), საჭიროა მოედნის რამოდენიმეჯერ ასეთნაირად მორწყვა. სასრილოსათვის საჭიროა შემდეგი ნივთები: ნიჩბები, ბარები, ცოცხი, სარწყული და ყინულის მოსაფხეკი იარაღი. სასრილოდ ხმარობენ სპეციალურ გლუსუნებს. გლუსუნებს ზოგიერთ ადგილებში ბავშვები თვითონ აკეთებენ.

სასრილოს მოწყობა შესაძლებელია აგრეთვე გაყინულ ტბაზე ან მინდორზე, მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ტბაზე ან მდინარეზე სასრილოს მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც საგრძნობი ყინვები იცის ხოლმე.



სამკითხველო და პიონერის კუთხე კოლექტივში.

გასათობი ოთახი.

გასათობად გამოდგება მოედნის ახლო მდებარე კოლექტივის ან სკოლის ბინა. კიდევ უკეთესია, თუ არსებობს სპეციალური გასათობი ოთახი. აქ მოთავსებული უნდა იყოს გასახდელი, ტანსაცმლის დასაკიდებელი და უნდა მოიპოვებოდეს სკამები საკმაო რაოდენობით. თავისთავად ცხადია, რომ გასათობი ოთახი უნდა თბებოდეს. აქვე უნდა იყოს მოწყობილი პატარა აფთიაქი პირველი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ბ) საჯამთრო მოედანი უთოვლო ადგილები-სათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოედნის მოწყობა ჯამთარში საჭიროა არა მარტო ისეთ ადგილებში, სადაც თოვლი მოდის, არამედ ისეთებშიაც, სადაც თოვლი ჯამთრის განმავლობაში თითქმის სრულიად არ მოდის, ანდა მალე დნება. ამგვარ მოედნებზე მუშაობა ყოველთვის შესაძლებელია, თუკი ამინდი ხელს უწყობს; ასაკრძალავია მხოლოდ მუშაობა ქარში, წვიმაში და საგრძნობი სიცივის დროს. უთოვლო ადგილებში მოედნის მოწყობა უფრო ადვილია. აქ საჭიროა თამაშობათა სწარმოებელი ადგილი და სასურველია აგრეთვე მოედანზე კალათ-ბურთისათვის ფარების მოწყობა. რასაკვირველია, აქ შეუძლებელია თოვლის მთის და სასრიალო წრის მოწყობა, ხოლო გასათობი ბინა აქაც საჭიროა. მეტად თბილ დღეებში მოედანზე დასაშვებია, გარდა თამაშობებისა და კალათ-ბურთისა, თავისუფალი ვარჯიშის წარმოება, ხოლო ფიზიკურ ვარჯიშობათა სხვა სახეების წარმოებას უნდა მოეერიდოთ. თავისუფალი ვარჯიშობის წარმოებაც დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ბავშვებს ერთსადანიმევე მოძრაობაში დიდხანს არ შევაჩერებთ და დიდი ხნით უძრავად არ დავტოვებთ. დანარჩენი წესები და რჩევა-დარიგებანი საერთოა ორივე ტიპის მოედნისთვის და მათ ქვემოთ ვათავსებთ.

თამაშობანი.

თამაშობათა წარმოება ორივე ტიპის მოედანზეა საჭირო. თამაშობანი, გარდა იმისა, რომ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ, აღვივებენ კოლექტიურ სულს და ამტკიცებენ დისციპლინას, იმავე დროს მნიშვნელობა აქვთ, როგორც ფიზიკურად გამაჯანსაღებელ საშუალებას. თამაშობათა წარმოებაში შეერთებულია ფიზიკური მოძრაობა სუფთა ჰაერზე ყოფნასთან და სწორედ ეს ორნაირი სარგებლობა ხელს უწყობს ადამიანის სხეულის ენერგიულ მოქმედებას, რასაც შედეგად ორგანიზმის გამაგრება მოჰყვება.

ჰაერის ტემპერატურა მოედანზე მუშაობის დროს.

საჯამთრო მოედანზე მეცადინეობა დასაშვებია, თუ ყინვა არ აღემატება 10 გრადუსს ისეთ ადგილებში, სადაც თოვლი მოდის, და 3⁰ ს, სადაც თოვლი არ მოდის. თუ სიცივე აღნიშნულ ტემპერატურას აღემატება, მოედანზე მეცადინეობა ასაკრძალავია. უნდა აღიკრძალოს აგრეთვე ქარში და წვიმაში მუშაობა. თბილი და მზიანი ამინდი საუკეთესო სამუშაო დროდ უნდა ჩაითვალოს უთოვლო ადგილებისათვის.

მუშაობის ხანგრძლივობა მოედანზე.

საჯამთრო მოედანზე მუშაობის ხანგრძლივობის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ როგორც მოედნის ტიპი, ისე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა; შეუჩვევლი და სუსტი ბავშვები, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებ დროს უნდა რჩებოდნენ მოედანზე. ასეთი ბავშვები თანდათანობით უნდა ეჩვეოდნენ ჯამთრის ცივ ჰაერს, ისინი პირველ ხანებში ჰაერზე უნდა იყონ 15-20 წუთს. ჯანსაღი და უკვე შეჩვეული ბავშვებისათვის მოედანზე ყოფნა 1/2 საათით უნდა განისაზღვრებოდეს. აღნიშნულ დროზე მეტ ხანს დარჩენა მავნებლად უნდა ჩაითვალოს და ამიტომ ასაკრძალავია.

უმთავრესი ჰიგიენური წესები მოედანზე მუშაობის დროს.

მოედანზე პიონერი მოძრაობაში უნდა იმყოფებოდეს, ერთ ადგილზე გაჩერება უძრავად ანდა დაჯდომა მავნებელია: იგი გაციებას იწვევს. პიონერი მოედანზე ყოფნის დროს აუცილებლად ცხვირით უნდა სუნთქავდე, ხოლო პირი დაკუმული უნდა ჰქონდეს. მავნებელია სათბობ ოთახში ხშირი შესვლა და გამოსვლა, რადგან ჰაერის ცვალებადობა გაციებას იწვევს. თუ თამაშის დროს პიონერს მოსწყურდება, უმჯობესია მოითმინოს ან თბილი ჩაი დალიოს. დაუშვებელია ცივი წყლის დალევა ან თოვლის ყლაპვა.

ტანსაცმელი მოედანზე მუშაობის დროს.

პიონერი მოედანზე ყოფნის დროს თბილად უნდა იცვამდეს, მაგრამ ზედმეტი ფუთვნა მავნებელია. კარგია მატყლიდან მოქსოვილი „ფუფაიკა“ ან თბილი შალის ხალათი. საჭიროა სიცივისაგან ყურების დაფარვა; თუ ამინდი თბილია, შესაძლებელია უპალტოდ ყოფნა, მაგრამ იმ პირობით, თუ ბავშვს თბილი ტანსაცმელი აცვია, ისიც მხოლოდ მოძრაობის დროს, სიცივის დროს კი საჭიროა მოკლე პალტოს (ბუშლატის) ჩაცმა, რომელიც ხელს არ შეუშლის ფეხების მოძრაობას. თავზე პიონერს უნდა ეხუროს თბილი ქუდი და ხელებიც უნდა ჰქონდეს სიცივისაგან დაფარული. ამ მიზნით კარგია მატყლის ხელთათმანები. ფეხსაცმელიც თბილი უნდა იყოს და წყალს არ უნდა უშვებდეს.

პიონერთა ახალშენი ღუშეთში.

საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

უპატრონო ბავშვები საბჭოთა ხელისუფლებამ საბავშვო სახლებში მოათავსა. ისინი მშობლიურ აღმზრდელობის ქვეშ იზრდებიან და ხდებიან ნამდვილი წევრნი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ერთს საუკეთესო თავშესაფარს უპატრონო ბავშვებისათვის წარმოადგენს ტფილისის განათლების განყოფილების ყოფილი საბავშვო და დღეს კი პიონერთა ახალშენი ქ. ღუშეთში იგი ძლიერია, აერთიანებს სამასამდე ბავშს.

პიონერთა ახალშენის სახელწოდება იმდენად მდიდარი და შინაარსიანია, რომ იგი მართლაც შეიძლება ჩაითვალოს კომუნისტური საზოგადოების დასაწყისად. სამასი ბავში ერთ ბინაშია მოთავსებული, ერთნაირი საქმელი, სასმელი; ტანისამოსი აცვიათ ერთი ფორმის და ღირსების—ასე რომ ყოველდღიური ცხოვრება იმათთვის არის ერთნაირი და კოლექტიური. ბავშვები ისე არიან ერთმანეთთან შეზრდილი, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ რა არის ცალ-ცალკე ცხოვრება.

პიონერთა ახალშენი დანაწილებულია ოთხ კოლექტივად. თითოეული კოლექტივის მუშაობა ისეა გადამზრული ერთიმეორესთან, რომ ძნელი გასაგებია, სად იწყება ერთის მუშაობა და სად თავდება მეორესი. სამასი პიონერიდან ვერ ნახავ ვერცერთს, რომელიც საერთო მუშაობაში არ ღებულობდეს მონაწილეობას. უნდა ნახოთ ცალკე კოლექტივების ნამუშაური: რა ლამაზად და შინაარსიანად არის იგი მოცემული! მართა კედლის გაზეთი რომ აიღოთ იმათი, გვეგანებათ, აქ მონაწილეობას იღებენ გამოცდილი რედაქტორები და თანამშრომელებიო: შინაარსიანი წერილი, აღებული ნამდვილ საქმეზე, რომელიც ეხება თვით ახალშენის ცხოვრების მხარეებს. საუცხოოდ არის განვითარებული მხატვრული შემოქმედება პიონერებში, რომელიც აგებული არი პროლეტარული ხელოვნების საფუძვლებზე. სანიმუშო და მშვენიერია სურათები ამხ. ლენინის, სტალინის და სხვა ჩვენი ბელადების, რაც არაფრით არ განსხვავდება დიდი მხატვრის შექმნილი სურათებისაგან. პიონერთა ხელით გამოძერწულია ყაზბეგის მიდამოები, მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმული.

პიონერებში ნაკლებად შეხვდებით ისეთს, რომელიც მართა ერთი რაიმეთი იყოს გატაცებული და დანარჩენ საქმეებს კი უყურადღებოდ სტოვებდეს. პირიქით, ყველა საქმის მოყვარულნი არიან და მისი კეთებით დაინტერესებული. როდესაც კარგად ხატავს და ან კარგად უკრავს მუსიკას, დამკვრელ პიონერს ვეკითხები:

— რა უფრო გიყვარს, მუსიკა თუ ბუნებისმეტყველება? იგი მაშინვე ცოცხლად მომიგებს: „მე ყველაფერს ვსწავლობ, რადგან ჩემთვის ორივე საჭიროა და სასახლო“.

ახალშენს აქვს მიწის ნაკვეთი, რამოდენიმე დესეტინა; პიონერთა კოლექტივები თავის რიგისა და მიხედვით აწარმოებენ მიწაზე მუშაობას, ხელს უწყობენ ისეთი კულტურის მოშენებას, რომელიც ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისათვის არის მიზანშეწონილი და გამოსადეგი. ახალშენში არის სულ სხვადასხვა ჯიშის შინაური საქონელი. პიონერები ახდენენ მათ დაკვირებას, სწავლობენ აგრონომის საშვალეებით საქონლის მოვლას და ყოველმხრივ უწყობენ ხელს მის გამრავლებას.

სწავლა-აღზრდის საქმეს უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული, დაწყებული ნოლი ჯგუფიდან, გათავებული გლეხური ახალგაზრდობის უკანასკნელი ჯგუფით. პიონერები ღებულობენ ზოგად და სპეციალურ განათლებას. მეოთხე ჯგუფის დამთავრების შემდეგ ისინი გადადიან პროფტექნიკურ და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში.

პიონერთა კოლექტივის მოზრდილი ბავშვები დიდად უწყობენ ხელს ღუშეთის მახლობელ სოფლებს მათში პოლიტიკური და კულტურული ცოდნის შეტანის მიზნით. უწერენ მათ გაზეთს, უკითხავენ პატარა მოხსენებებს და საუბრებს და ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუწყონ ჩამორჩენილი სოფლის კულტურულად ამაღლების საქმეს.

ასეთია ჩვენი პიონერთა ახალშენი და მისი მუშაობა. ეს პიონერთა საზოგადოება, რომელიც ერთ დროს უპატრონოდ და თავშესაფარის გარეშე იყო, დღეს კარგ პირობებშია მოქცეული; მათი სახით საბჭოთა რესპუბლიკას ღირსეული წევრები ეზრდება.

ნ. მექვაბიშვილი.



ინგლისელი ბავშვები საბჭოთა კავშირის შესახებ.

ჯერ კიდევ დელეგაციის ჩამოსვლამდე მის უკან დაბრუნების შესახებ მიღებულ ცნობებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ თუკი ბავშვები ან სხვა ვინმე შესძლებს დაამტკიცოს, რომ ის ინგლისის ქვეშევრდომია, მაშინ სახელმწიფოს უფლება არა აქვს აუკრძალოს მათ ინგლისის ნაპირებზე გადმოსვლა. მის შემდეგ, რაც დელეგაცია დაბრუნდა, ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვა დიდ ადგილს უთმობდა მას (დელეგაციას) თავისი გაზეთების ფურცლებზე. მრავალ გაზეთსა და ჟურნალში ახლაც ისე, როგორც დელეგაციის გამგზავრების წინა დღეებში, მოთავსებულ იქნა ბავშვების ფოტოგრაფიული სურათები. ლონდონის ერთ-ერთმა ჟურნალმა „სფორ“ 1927 წლის 8 ოქტომბერს მოათავსა ბავშვების სურათები შემდეგი წარწერით: კომუნისტი ბავშვები, რომლებმაც იმგზავრეს რუსეთში იმისათვის, რომ ვასცნობოდნენ იქ რუსეთის ცხოვრების „პირობებს“, დაბრუნდნენ აღფრთოვანებული რუსების ატეიზმით, ანარქიით და გაპატახებით, ამ სამი „ა“-თი (ინგლისურად ეს სამი სიტყვა იწყება ასო „ა“-თი), რომელთაც ბოლშევიკებში უჭირავთ განათლებულ ხალხთა სწავლებაში შემოღებული სამი „რ“-ს ადგილი (სამი „რ“ არის კითხვა, წერა და ანგარიში)“.

ჩამოსვლისთანავე დაუყოვნებლივ მთელი დელეგაცია, როგორც აღნიშნავენ გაზეთები, „პროლეტარულად“ გაემგზავრა ტრამვაით ინგლისის კომკავშირის ც. კ.-ში, სადაც დიდი ზეიმი გაუმართეს მას, საღამოს კი დელეგაცია გამოვიდა მიტინგზე ბესნალ გრიინში (მუშათა რაიონია ლონდონში).

დელეგაციის გამოსვლამ დიდძალი ხალხი მიიზიდა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

ვნახოთ, რას სწერენ ამაზე გაზეთები: „აუდიტორია ვერ იკავებდა თავის აღფრთოვანებას, როდესაც ერთი ორატორი სცვილიდა მეორეს, რომელიც აღნიშნავდნენ ბოლშევიზმის მთელ უპირატესობას; საზაფხულო ბანაკები, რომლებსაც განაგებენ თვით ბავშვები, დასასვენებელი სახლები მუშებისათვის შავი ზღვის ნაპირებზე, უფასო საქმელის და უფასო ტანისამოსის დასარიგებელი პუნქტები და უმუშევართა დასასვენებელი სახლები (ბოლოს, როგორც იქნა, საქმის არსებით მხარეს მიუდგენ — უმუშევრებია).

ჩვენ გულწრფელი სიმწუხარე გამოვთქვით, როდესაც გავიგეთ, რომ ს.ს.ს.რ.კ.-ში მოგზაურო-

ბის დროს ბავშვები დასათვლიერებელ ადგილებზე ან ძლიერ ადრე მიდიოდნენ, ანდა ძლიერ იგვიანებდნენ, ასე რომ მათ არ ჰქონიათ საშუალება ყოველივე თავისი თვლით ენახათ.

კიდევ კარგი, რომ მათ უამბეს ყოველივე და მათ შეუძლიათ გადმოგვცენ ჩვენ ის, რაც გაიგონეს.

ამერიკელები ფიქრობენ, რომ ინგლისელებს არ გააჩნიათ იუმორი. ისინი რომ დასწრებოდნენ კრებებს ბერსნალ გრიინში, დარწმუნდებოდნენ, რომ სცდებიან. აქ ისინი ნახავდნენ, რომ აუდიტორია, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ასეულ მოზრდილ მუშისაგან, ღრმა სიჩუმეში, რომელსაც არღვევდა მხოლოდ უეჭველად გულწრფელი აპლოკსემენტები, უსმენდა ბავშვების მიერ გაზეთებზე აკადემიური კომუნისმის მძიმე და ხელოვნურ სიტყვებს... ძნელი წარმოსადგენია, თუ რას იგრძნობს ჩვეულებრივი ბურჟუა „მამა“, მას რომ მისმა 12 წლის შვილმა მიმართოს შემდეგი სიტყვებით: მამა, მე ვთვლი თავს მოვალედ ჩავაბაროთ ანგარიში მასში, რაც მე ენახე საბჭოთა რუსეთში. მე მტკიცედ გადაწყვიტე ვიბრძოლო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მუშების განსათავისუფლებლად კაპიტალის უღლისაგან და სხვა“. მაგრამ გუშინდელ კრებაზე ყველას თავი დაავიწყდა. ერთი მოზრდილი მსენელთაგანი გამოვიდა და აღფრთოვანებით წარმოსთქვა: „თუ ჩვენ არ დავამთავრებთ იმას, რაც დავიწყეთ, მაშინ ჩვენ მაგიერ ამას ჩვენი შვილები გააკეთებენ“ უნდა აღვიაროთ, რომ ბავშვები ძალიან კარგი ორატორები გამოდგნენ, თუმცა, მართალია, ეტყობოდათ, რომ მათ დიდხანს სწვრთნიდნენ. ყველა „ნორჩ ამხანაგს“ ჰქონდა ღია წითელი ფერის ყელსახვევები და ნიშნები ლენინის სურათით („მორნინგ პოსტ“, 3/10—27 წელი).

„წითელი“ კატარები დაბრუნდნენ შინ.

13 წლის ბავშვის საოცარი სიტყვა.

ყველა ბავში იმას გვიამბობდა, თუ როგორ მშვენივრად და მომხიბვლელად გაატარეს მათ დრო ს.ს.რ.კ.-ში, მაგრამ, აი, გამოვიდა უკანასკნელი ორატორი ვილლი ბეკერი. ეს ფერმკრთალი ბავში მხოლოდ 13 წლისაა, მაგრამ ის უკვე მომწიფებული კომუნისტ-ორატორია. ის არაფერს ამბობდა იმაზე,

თუ როგორ კარგად გაატარა მან დრო რუსეთში. იგი ერთბაშად, — ისე, როგორც ეს სჩვევია ყველა კომუნისტ — ორატორს, გამოვიდა დეკლარაციებით. მის სიტყვაში ბევრი რამ იყო წინასწარ გამოანგარიშებული ეფექტის მოსახდენად, ბევრი იყო ლამაზი სიტყვა და ბევრიც სისულელე, მაგრამ მას მხურვალედ სწამდა, რასაც ლაპარაკობდა. ამან და მისმა აბსოლუტურმა კონკრეტობამ მოხიბლა აუდიტორია. ფერმიხდილმა და დაღლილმა დაასრულა მან თავისი სიტყვა, რომელიც ხანგრძლივმა ტაშისცემამ დაჰყარა. საწყალი ბიჭიკო, მას არასოდეს არ განუტღია ბავშობა“.

(„ვესტმინსტერ გაზეტ“),

წითელი ყელსახვევებით, რუსული დროშებით ხელში ეს ბავშვები იდგნენ ტრიბუნაზე და იმღეროდნენ რუსულ ენაზე. ეს იყო ერთი იმ ძლიერ საკვირველ სცენათაგანი, რომელიც ოდესმე გვინახავს ხოლმე ჩვენ“.

(„საუზ უელს ნიუს კარდიფ“. 3/10, №. 27 „უელსის ახალი ამბები“).

მეორე დღეს ბავშვები გაემგზავრენ თავის ქალაქებში. აქაც მათ დიდის ზეიმით შეეგებენ.

„რამოდენიმე ასეული ბავში შეეგება სადგურზე კლიფორდ რობერტს, რომელსაც უწოდებენ ყველაზე უფრო ახალგაზრდა მებრძოლს კომუნისტების რიგებში, უწოდებენ „ბავშს, რომელმაც მოატყუა ჯონსონ ხიკს და ყველა მინისტრი“. იმ სკოლის გამგეც და ყველა მასწავლებლებიც, რომელშიც სწავლობდა კლიფორდი, მოვიდნენ სადგურზე მის შესახებდრად. კლიფორდი, ღია წითელი ფერის ყელსახვევით შემკული; მთელი ქალაქი შემოაპარეს ხელში აწეული. მას უკან მიჰყვებოდა პროცესია ხუთასი ბავშვისაგან და ერთი მუჭა მშობლებისაგან. აღფრთოვანებული ბავშვები „ვაშას“ უჩახოდნენ კომპარტიას, კომკავშირს, საბჭოთა რუსეთს და საერთოდ ყოველივე წითელს. როდესაც მათ გვერდით ჩაუარა პოლიციამ, ვიღაცამ შესძახა „ვაშა“, რამაც სიცილი გამოიწვია ხალხში. შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე კომკავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლიფორდის გამგზავრებამდე სამხრეთ უელსში იყო მხოლოდ სამი სექცია კომკავშირის, ახლა კი უკვე ათია და, ყოველ ექვს გარეშეა, კლიფორდის საანგარიშო კამპანიის შემდეგ სექციების რიცხვი ყოველ შემთხვევაში ოცდაათამდე ავა.“

კლიფორდ რობერტმა, რომელმაც ძალიან კარგი ორატორობა გამოიჩინა, გადასცა კრებას სალაში ს.ს.რ.კ-ს ბავშვებისაგან და უამბო მას პიონერების გასამხედროების საქმის შესახებ. მან ასე დაამთავრა: „თუ ჩემბერლენმა გაილაშქრა ს.ს.რ.კ-ზე, იგი იძულებული გახდება უკან გამოიქცეს“.

(„კლიფორდ ინვინგ ექსპრეს“, 5/10—27 №.)

გაზეთი „საუზ უელს ნიუს“-ში 1927 წლ. 6/10-დან გამოქვეყნებული იყო განცხადება იმ სკოლის გამგეს და მასწავლებლების, სადაც კლიფორდი სწავლობდა, შესახებ იმისა, რომ არცერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა კლიფორდის შეხვედრაში,

თუმცა განათლების განყ. დირექტორმა განმარტა, რომ მასწავლებლებს უფლება აქვთ დაესწონ ყოველგვარ პოლიტიკურ კრებებს, მაგრამ არა როგორც მასწავლებლებს, არამედ როგორც კერძო პირთ.

ჯერ კიდევ სამი კვირით ადრე ნენსი ხოლის (ქალიშვილია) შინ დაბრუნებამდე, მის შესახებდრად დაქირავებული იყო შენობა, რომელიც ეკუთვნოდა ეკლესიას. ყველაფერი უკვე მზად იყო და ბილეთებიც გაყიდული, როდესაც ორი დღით ადრე დელეგაციის ჩამოსვლამდე ნენსი ხოლის მამას აცნობეს, რომ დარბაზი მას არ დაეთმობა. მის შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია უარის თქმა შენობის დათმობაზე, უპასუხეს, რომ შენობის დათმობა უხერხულობას შექმნიდა დურგამის ეპისკოპოსის წინაშე, რომელიც თავის დროზე წინააღმდეგი იყო დელეგაციის ს.ს.რ.კ-ში გამგზავრების (აქ აღსანიშნავია ის საინტერესო გარემოება, რომ ამასწინათ ეს შენობა დაეთმო კომპარტიას ციხიდან განთავისუფლებულ კომუნისტებისათვის ზეიმის მოსაწყობად).

მეორე დღეს დილით ქალაქის ყველა მთავარ ქუჩაზე ცარცით მსხვილი ასობით დაწერილი იყო შემდეგი: „ქრისტიანული მოპყრობაა ეს. საეკლესიო საბჭო შეურაცხყოფას აყენებს ნენსი ხოლს, ზეიმი ნენსის შესახებდრად აკრძალულია“.

ყოველივე ამან გააძლიერა ინტერესი ნენსის საანგარიშო კამპანიისადმი, რომელიც ახლა უკვე მეტის წარმატებით ტარდება. ნენსი გამოდის მრავალ კრებაზე. გამოვიდა კრებაზე, რომელიც ირჩევდა დელეგატებს ს.ს.რ.კ. ათი წლის თავისათვის და სხვა.

დელეგაციის საანგარიშო კამპანიის წარმატებით მსვლელობა ვერ დამალეს ბურჟუაზიულმა გაზეთებმაც, გამოქვეყნდა შემდეგნაირი შენიშვნები: „ამასწინათ ექვსი წითელი პატარა დაბრუნდა ს.ს.რ.კ.-დან, სადაც მათ გაძლიერებულად ჰკვებავდნენ „საბჭოთა მცენარის იშვიათი ნაყოფით“. ის პროპაგანდა, რომელსაც ძალიან ეწვევიან ლენინის ეს მოწაფეები, უეჭველია, დიდი ენტუზიაზმით იქნება მიღებული ზოგიერთების მიერ, სამაგიეროდ ყველა დანარჩენებს განაცვიფრებს თავისი არარაობით და საცოდაობით“. („ნიუკესელ ინვინგ ქრონიკლ“, 3/10—27 №.).

ექვსი კომუნისტ — ბავშვის (წლოვანებით 13-14 წლის) ჩამოსვლის შემდეგ, რომლებიც გაიპარენ რუსეთში უპასპორტოდ და დაჰყვეს იქ სამი თვე, ინგლისის მოსახლეობის განსახდრეული ნაწილი აღფრთოვანებულ ჰიმნს უგალობს რუსეთის კომუნისტებს („ნორსერნ ეკო. დარლინგტენ“, 3/10—27).

გაზეთების რედაქციებს მოაწყდა აუარებელი წერილი კომუნისტური გავლენის საშიშროების შესახებ, წერილები, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ბავშვები საკუთარ სიტყვებს კი არ ლაპარაკობენ, არამედ გაზეთებულს და სხვ.

„მატონო, დიდის ინტერესით, თუმცა ზიზღით, წავიკითხე თქვენს გაზეთში მოთავსებული ბენნალ გრინში მოწყობილ მიტინგზე მყოფი თქვენი სპეციალური წარმომადგენლის ანგარიში. საშუალო

ინგლისელი სათავის იმაზე უფრო გულის ამრევი არა ფერია, ვიდრე ის საშინელი გახრწნა ბავშვების გონებისა, რომელთადაც ჩვენ ახლა გვაქვს საქმე ინგლისში. ერთადერთ საშუალებას ამ გახრწნის წინააღმდეგ წარმოადგენს ბოი-სკაუტების მოძრაობა. ჩვენ ვფიქრობთ, კომუნისტური საბავშვო ლიტერატურის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას ხელი უნდა მოჰკიდოს იმ განყოფილებამ, რომელიც განაგებს „საწამლაის გაყიდვის საქმეს“.

ჩვენში არსებობს კანონები, რომელიც საქირაო საწამლაის გაყიდვისთვის, რადგანაც საწამლაი არღვევს და სპობს ჩვენს სხეულს. მაშ რისთვის არ უნდა არსებობდეს კანონები, რომლებიც იცავენ ადამიანის სულს და, რაც მთავარია, ბავშვების სულს მოწამლისაგან. „ლორინგ ვიცე აღმირალ“ („მორნინგ პოსტ“ 7/10—27 წ.).

„ბატონო, თქვენი ანგარიში ბენსალ გრიინში მოწყობილი მიტინგის შესახებ სასაცილო იქნებოდა, რომ ტრადიციული არ იყოს. ჩვენ გვემუქრება საფრთხე და, ექვს გარეშეა, ეს საფრთხე ყველაზე უფრო ემუქრება შეძლებულთა კლასის წარმომადგენლებს. ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს ბავშვთა ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ამ საფრთხის წინააღმდეგ ახალგაზრდობაში. ეს არის სკაუტების ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას არ ჰყოფნის ხელმძღვანელები. მემამულეების, მღვდლებისა, მოსამსახურეებისა და სხვათა შეილებმა უნდა შეავსონ სკაუტების ხელმძღვანელთა რიგები. თუ ჩვენი ახალი თაობა ვერ შესძლებს ამას, მაშინ იგი ღირსი გახდება ყველა იმ ძღვნების, რომელთაც მას უმზადებს კომუნისში“. (ბერროუს. სკაუტ. „მორნინგ პოსტ“ 7/10—29 წ.)

პროპაგანდისტი ბავშვები.

„ბატონო, იმის დამატკიცებელ საკმაო საბუთად, რომ კომუნისში სიძულვილის მოძღვრებაა, რომელსაც შეუძლია ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადააქციოს, გამოდგებიან ბავშვები, რომლებიც იწყებენ ლაპარაკს რევოლუციისა და სახრჩობელებზე (აქ, ალბათ, მხედველობაში აქვს სიმღერა „ჩვენ ჩამოვახრჩობთ ჩემმერლენს დამპალ ვაშლის ხეზე“, რომელსაც იმდროდენ ინგლისელი დელეგატები). იმ დროს, როდესაც ისინი ჯერ კიდევ საბავშვო ოთახებში უნდა იხდნენ. ცდილობენ დაგვარწმუნონ ჩვენ იმაში, რომ ყველა ის ანგარიში, რომლებსაც აქვეყნებს დელეგაცია, ყველა ის სიტყვა, რომლებითაც გამოდიან დელეგატები კრებებზე, შედგენილი არის სხვის დაუხმარებლად. განა სასაცილო არ არის ეს? ჩვენ, ქრისტიანებს, კი არ გვძულს კომუნისტები, არამედ გვძავს მათი მოძღვრება. („მერი სიულტეს მორსერნ ეკს“ 7/10—27 წ.)

„ბატონო, მე მინდა დავწერო პატარა ინგლისელ კომუნისტებზე, რომლებიც დაბრუნდნ რუსეთიდან, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვებზე წამდვილად ზრუნავს ინგლისი და არა რუსეთი.


სიცოცხლით სავსე ექვსი ბავში ეხლახან დაბრუნდა საბჭოთა რუსეთში სამი თვის მოგზაურობის შემდეგ. ისინი დაბრუნდნ დარწმუნებული მასში, რომ ახალ რუსეთში ზრუნავენ პირველად ყოვლისა მათი კლასის ბავშვებზე, მუშების ბავშვებზე, რომ ეს ბავშვები განაგებენ სკოლებში, რომ მათ აძლევენ თავშესაფარს, თუ ისინი უსახლკარო არიან, რომ მათ მკურნალობენ, თუ ისინი ავად არიან, უვლიან მათ, თუ მათი დედები სამუშაოზე არიან და ა. შ.

როდესაც რამდენიმე დღის წინათ მე შევეკითხე ერთ-ერთ ჩამოსულ ბავშვს, უნდოდა თუ არა მას დარჩენა რუსეთში საცხოვრებლად, ჩემი გრძობები ინგლისელისა შეურაცხყო მისმა თავხედურმა პასუხმა: „რასაკვირველია“.

ჩემთვის კიდევ უფრო საწყენია ის, როდესაც წარმოვიდგენ, რომ ეს ბავშვები ახლა დაიწყებენ მოგზაურობას შთელს ინგლისში და უამბობენ სხვა ბავშვებს და მოზრდილებს საბჭოთა რუსეთის, ამ ახალი იერუსალიმის, შესახებ და იმის შესახებ, რომ ინგლისში დადგება სამოთხე მას შემდეგ, როდესაც აქ მოხდება რევოლუცია. ექვსივე ნორჩი კომუნისტი 12—14 წლის ასაკის ძლიერ ჭკვიანი და მიმზიდველი ბავშვებია. ისინი გამოდიან კრებებზე ისე, თითქოს ამას დიდი ხანია შეჩვეული არიან. მათი ნორჩი გონება უკვე წამხდარია და, მიუხედავად მათი სინორჩისა და იმისა, რომ მათი გონება და განვითარება საშუალო ოთნებზე უფრო მალა სდგას, მათში უკვე განვითარებულია ინგლისისადმი სიძულვილის გრძობა, ამ ბავშვებმა არც კი იციან, რომ ინგლისში არსებობს საზაფხულო ბანაკები ბავშვებისათვის, თავშესაფრები, საავადმყოფოები ღარიბებისათვის. ამის შესახებ მათთვის არავის არასოდეს არაფერი არ უთქვამს. რა სამწუხაროა!... მაგრამ შეიძლება ჯერ კიდევ არაა გვიან. თუ ასეა, მაშ რაღას ვაყოვნებთ. („დეილი სიუს“, 5/10—27 წ.).

„ბატონო, ანგარიში ბავშვების წითელი კამპანიის შესახებ რომელიც მოთავსებულია თქვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, ძალიან საინტერესო გახდებოდა, რომ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ ყოველივე ეს გაკეთებულია თვით ბავშვების მიერ. ისიც კი რომ დავუშვათ, რომ ეს შესძლეს მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საკმაოდ გაწვრთნეს ამაში ან ჯერ კიდევ რუსეთში, ანდა უკვე უკან დაბრუნების შემდეგ“. („ნორზერნ ეკს.“).

გამოქვეყნდა აგრეთვე შენიშვნები საერთო „მხილებებითაც“ ს.ს.რ.კ. ცხოვრების შესახებ. ნენსი ხოლმა ერთ-ერთი თავისი გამოსვლის დროს განაცხადა და ამ განცხადებას ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეხვდნ, რომ „კაპიტალისტურ პრესას, რამდენიც მას სურს, ილაპარაკოს ტყუილები საბჭოთა რუსეთის შესახებ, მაგრამ მე აქ ვარ იმისთვის, რომ უარყო ყოველივე ეს. მე ყოველ ღონისძიებას ვიხმობ, რომ მუშებმა გაიგონ სიმართლე საბჭოთა რუსეთზე“.



კედლის გაზეთი.

მეექვსე ჯგუფის დიდ ოთახში მთელი ფორპოსტია თავმოყრილი. მრავალი მათგანი არაა პიონერი, ან, როგორც მათ ეძახიან, „შეუკავშირებელნი“ არიან. თავის კრებებზე ფორპოსტი ყოველთვის იწვევს მთელ მოსწავლეობას. ამიტომ იგი განსაკუთრებული პატივით სარგებლობს.

დღეს კედლის გაზეთის საკითხი სდგას.

როგორცაა იწყება კრება. ვანო, რომელიც სწავლობს ამ სკოლაში და ფორპოსტის თავჯდომარედაა ამორჩეული, ლაპარაკობს კედლის გაზეთის მნიშვნელობის შესახებ.

როგორც ჩანს, ეს აზრი ყველას მოსწონს, ყველას უნდა ნახოს შენიშვნები გაზეთში, საკუთარი და თავისი ამხანაგების.

წინადადება, რომ გამოსცენ თავისი კედლის გაზეთი, ერთხმადაა მიღებული. ბავშვებმა აქვე ამორჩიეს გაზეთის სარედაქციო კოლეგია.

პირველი ნომერი გადაწყვიტეს გამოვიდეს მშრომელი ქალთა საერთაშორისო დღისათვის, 8 მარტს. სარედაქციო კოლეგია არჩეულ იქნა სამი პიონერისაგან და ორი „შეუკავშირებლისაგან“.

მეორე დღეს შურამ, რომელიც ამ ამორჩეულთა რიცხვში შედიოდა, მოიტანა სკოლაში ფანერის დიდი ყუთი და ფოსტის ყუთივით ჩამოჰკიდა სკოლის კედელზე და ზედ გააკრა ქალაქი წერით:

სწერეთ საკუთარ გაზეთში „ჩვენი შრომა“.

ეს ყუთში შენიშვნები, ლექსები და მოთხრობები“.

ის ვერ ითმენდა და ყოველ წუთში ნახულობდა ყუთს, რომ გაეგო, მოგროვდა თუ არა რაიმე მასალა.

მაგრამ ყუთი ცარიელი იყო. გაკვეთილების შემდეგ სარედაქციო კოლეგია ერთ თავისუფალ ოთახში შეიკრიბა და შეუდგა მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვენ, როგორ ესწავლებინათ ამხანაგებისათვის გაზეთში წერა.

— მოვიგონე, მოვიგონე, — წამოიძახა განარბულმა ვანომ, რომელიც ამდენ ხანს გაჩუმებული იჯდა, — იცით, რისთვის არ სწერენ მოსწავლეები? მხოლოდ იმიტომ, რომ არ იციან რა სწერონ.

— ეს მოიგონე? ეს ჩვენც უშენოდაც კარგად ვიცოდით.

— კი, მაგრამ მე ვიცი საშუალება, რითაც შეიძლება ვუშველოთ მათ და, აი მიყურეთ მე — სწრაფად ამოიღო ქალაქის ფურცელი, დაიწყო

ზედ წერა და ამავე დროს განაგრძობდა ლაპარაკს თავისი გეგმის შესახებ. ამხანაგები ბეჯითად უსმენდენ.

ვანოს გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩამოეწერათ ქალაქზე თხუთმეტიოდე თემა, რომელზეც შეიძლებოდა რაიმეს დაწერა და გამოეკიდათ იგი კედელზე.

მაშინ ყველას ეცოდინება, რაზე უნდა სწერონ. ასეც მოიქცენ. შედეგი კარგი იყო.

ყოველდღე ყუთში გროვდებოდა რამდენიმე შენიშვნა. სამი დღის შემდეგ კი სარედაქციო კოლეგიას თავისუფლად შეეძლო შესდგომოდა გაზეთის გამოშვებას.

როდესაც მთელი მასალა გადაათვალიერეს და გადაარჩიეს, ბავშვებმა მიიღეს სკოლის გამყიდანი სქელი ქალაქის ფურცლები, ტუში და საღებავები. მუშაობა გაჩაღდა. დახმარებისათვის მოწვეულ იქნენ სხვა პიონერებიც, რომლებმაც კარგი და სუფთა წერა იცოდნენ.

შვიდი მარტისათვის გაზეთი უკვე მზად იყო და ყველაზე შესაძლებელად ადგილას იქნა გამოკიდული.

მთელი დღე მოსწავლეების გროვა ტრიალებდა გაზეთის ირგვლივ. ისმოდა მთელი რიგი შენიშვნები, სიცილი, ხუმრობა. გამოვიდა სხვა ნომრებიც. ძველი ნომრები იგზავნებოდა ფორპოსტის მიერ სკოლასთან მიმავრებული პიონერების კოლექტივებში, საიდანაც სამაგიეროდ ღებულობდნენ გაზეთ „კვალს“.

როცა გაზეთის მეხუთე ნომერი გამოვიდა, ვანომ ჩამოიარა რაიონში ყველა სკოლა და მოაწყო კედლის გაზეთის საერთო გამოფენა.

გამოფენაზე, არდა სკოლებისა, მოვიდნენ მობრძლილი მუშკორები და თან მოიტანეს საჩუქრები ყველაზე უკეთესი გაზეთისათვის — ფერადი ფანქრები, საღებავები და სხვა.

უნდა ითქვას, ის აზრიც, რომ დილ-დილობით სკოლაში მოეწყოთ თბილი საუბრე, სულ პირველად კედლის გაზეთმა წამოაყენა.

პირველად მეხუთე ჯგუფის ერთ-ერთმა მოწაფემ დასწერა შენიშვნა იმის შესახებ, რომ ბუფეტში საქმელების სიძვირის გამო მრავალი მოსწავლე მშვიერი რჩებოდა.

სარედაქციო კოლეგიამ მოათავსა ეს შენიშვნა თხოვნით, რომ ყველას გამოეთქვა თავისი აზრი ამის შესახებ.

მოსაზრებები სხვადასხვა გამოითქვა. ზოგი იძლეოდა რჩევას, თუ სად და რომელ ადგილას

უნდა ეყილათ იაფად ფუნთუშები, ზოგი იგონებდა გასულ წელს, როცა იაფად იღებდნენ ქიქა რძეს და პურს, ერთმა ყმაწვილმა კი პირდაპირ გამოთქვა ის მოსახრება, რომ თვით სკოლაში მოეწყოთ პატარა სასადილო, თან დაენიშნათ „სასადილო დრო“ ისე, როგორც ეს მისი მამის ქარხანაშია. ამხანაგები ამის დამწერს ემასხრებოდნენ და ბევრ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მაგრამ ამ შენიშვნას სკოლის ექიმი გაზიარებდა. მან ურჩია მოწაფეებს აუცილებლად მოეწყოთ ეს სასადილო სკოლაში. საქმეს ხელი მოჰკიდა პიონერების ფორპოსტმა. აქ კი პირველად და ნამდვილად გაიგეს, თუ რას ნიშნავდა მაგარი ორგანიზაცია.

დიდი ენერგიით შეუდგენ სასადილოს მოწყობის საქმეს. პიონერ კოლექტივებისაგან და აგრეთვე მასწავლებლებისაგან დახმარების პირობაც მიიღეს, ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა, მაგრამ აქ ფორპოსტი შეეჩება ერთ დაბრკოლებას. მეორე საფეხურის მოწაფეებმა, რომლებიც სკოლაში იკრიბებოდნენ სასადილვეს, უარი განაცხადეს სასადილოს დაარსებაზე და სასტიკი წინააღმდეგობის გაწევა დაიწყეს. აიყოლიეს პირველი საფეხურის მოწაფეებიც. მათ შორის ერთენ მოწყობის თავმჯდომარე და სასკოლო კომიტეტის წევრებიც. ისინი გესლიანი შენიშვნებით და დაცინვით თავს აბეზრებდნენ პიონერებს, ამბობდნენ, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო და სხვა.

ბევრ პიონერს ამ ნიადაგზე გული აუცრუვდა ამ საქმეზე. ვინც კი აპირებდა წინააღმდეგობის გაწევას, მას გალახვას პირდებოდნენ კიდევც. ფორპოსტი კი ამ დროს იმის შესახებ ფიქრობდა, რომ არ გაემწევათ ეს მდგომარეობა მეორე საფეხურის მოწაფეებთან და ისე მოეგვარებია საქმე.

ვანომ მიმართა შემდეგ საშუალებას: დანიშნა ფორპოსტის კრება და მოიწვია კოლექტივიდან დიტო და სონა.

როცა გაიხსნა კრება, მან რიხიანად გამოაცხადა:

— ამხანაგებო, დღის წესრიგში სდგას საკითხი სასადილოს მოწყობის შესახებ.

— კიდევ სასადილოს საქმე? მოგვებზრდა ეს საქმე, დაანებეთ თავი, არ გვინდა! — წამოიძახა ვილკამ — ხომ ხედავთ არაფერი არ გამოდის, დავანებოთ თავი...

სიტყვა აიღო დიტომ.

— ამის შემდეგ თქვენ იტყვი, რომ ჩვენ პიონერები ვართ, არა?! ნუთუ ასეთმა მცირე დაბრკოლებებმა უნდა შეგაშინოსთ! მოწინააღმდეგეებმა თუ გინდა გცემონ, ამ საქმის მიტოვება არაფრის გულისთვის არ შეიძლება. დაიწყეთ და უნდა დაასრულოთ კიდევც, მით უმეტეს, რომ იგი საჭირო და აუცილებელი საქმეა, ის ჩვენი ამხანაგების ჯანმრთელობას ეხება...


დიტომ საკმაოდ ილაპარაკა და ბოლოს დაასრულა: — ჩვენ ხომ ორგანიზაცია გვაქვს. ვაკეთოთ ეს საქმე ფორპოსტის სახელით, მოხმარებით კი ყველა კოლექტივი მოგვეხმარება. ამ საქმეს ხომ მართო არ აკეთებთ, არამედ თქვენთან ერთადაა მთელი პიონერორგანიზაცია.

დიტოს სიტყვამ გავლენა იქონია. იმ დღიდან ისევ შეუდგენ ახალი ენერგიით ამ საქმეს: შეაკეთეს საკუჭნაოში პლიტა, მოგროვილი ფულით შეიძინეს ქურჭლეულობა და ერთ დღეს დაიწყეს საკუჭელების გაცემა. პიონერების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოხდა ისიც, რომ ერთხელ სასადილოში შევიდა მოწყობის თავმჯდომარე, შინ რომ ვერ მოესწრო ჩაის დაღევა, და მორცხვად მოითხოვა ეჭმიათ რაიმე.

მორიგმა პიონერმა კაკაოში, რომელიც მოუტანა მას, განგებ ჩაუყარა ზედმეტი შაქარი, რომ ამით შეეგნო მას თავისი შეცდომა.

ეს ასეც მოხდა. სასტუმროს გუშინდელი მტერი აშკარად გამოტყდა თავის დანაშაულში, როცა გაათავა კაკაოს სმა და ცარიელი ქიქა მაგიდაზე დასდგა.

— ეს დიდებული საქმე ყოფილა და ყოჩაღ თქვენ, მეგობრებო! — სთქვა მან.





ჭ ა ლ რ ა კ ი.


ქალრაკის თამაშის განვითარება. ვიდრე ქალრაკი თანამედროვე სახეს მიიღებდა, განვითარების რამოდენიმე საფეხური განვლო. მკვლევარების აზრით, ქალრაკი თავდაპირველად ოთხი მოთამაშის საბრძოლველ ასპარეზს წარმოადგენდა; ეს ოთხი მოთამაშე წყვილ-წყვილად თამაშობდა — ორი ერთ მხარეზე და ორიც მეორეზე. თითოეულის განკარგულებაში რვა რვა კოჭი იყო: ოთხი ქვეითა ჯარისკაცი, 1 მხედარი, 1 გემი (ანუ ეტლი), 1 სპილო და 1 სარდალი. შემდეგ თითოეული წყვილის თამაში შეერთებულა ერთპირ თამაშად: ცხადია, ერთ მხარეს ორი სარდალი არ დასჭირდებოდა და ერთი სარდალი შავად (მეფედ) ქცეულა და მეორე კი ვეზირად (ლაზიერად).

წინათ ქალრაკის წესები არსებითად განსხვავდებოდა ახლანდელი წესებისაგან. მეათე საუკუნის ხელნაწერებში ქალრაკის მკვლევარებს საშუალება მისცეს გამოერკვიათ იმდროინდელი თამაშის წესები: კოჭები იმავე წესით ლავდებოდა, როგორც ახლა. ეტლი, მხედარი და მეფე ისევე დადიოდნენ, როგორც ახლა; სამაგიეროდ ფრიად სუსტ ფიგურას წარმოადგენდა ლაზიერი: იგი მხოლოდ გეზად დადიოდა და ისიც სამი უჯრის მანძილზე; პაიკს უფლება არა ჰქონდა თავდაპირველი უჯრიდან ორნაბიჯა სვლა გაეკეთებია. მერვე რიგზე რომ ვადიოდა, მხოლოდ ლაზიერად შეეძლო გადაქცეულიყო; კუც ფრიად სუსტ ფიგურას წარმოადგენდა: ისიც გეზად დადიოდა სამი უჯრის მანძილზე; თუ სავალ გზაზე კოჭი ხვდებოდა, თავზე ახტებოდა, როჭი სრულიად არ არსებობდა.

პარტია მოგებულად ითვლებოდა როგორც შამათის, ისე ფათის დროსაც. ხელი მოგებულად ითვლებოდა მაშინაც, თუ მოთამაშე მოპირდაპირე მხარეს ყველა ფიგურას მოუკლავდა და თვითონ ერთი ფიგურა მაინც შეჩრებოდა (მაგ. მარტო კუ ან მარტო მხედარი).

ევროპაში მე-XIII საუკუნეში შემოიღეს პაიკის პირველი ორნაბიჯა სვლა (e2 — e4); შემდეგ მეფეს უფლება მიენიჭა პარტიის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ამა თუ იმ მიმართულებით სამი უჯრის მანძილზე გადასულიყო (ეს როჭის ჩანასახი იყო). შემდეგ მე-XV საუკუნეში გააძლიერეს კუს მსვლელობა — მას შეეძლო მთელი დიაგონალის ხაზით ევლო. მაგრამ ყველაზე მთავარი ცვლილება ლაზიერის გაძლიერებაა: იგი დაჯილდოებული იყო ეტლისა და კუს შეერთებული ძალით. ბოლოს, მე XVI საუკუნეში, დაწესდა როჭი და ამით დამთავრდა ფიგურების სვლის ევოლუცია.

ნოტაცია, ანუ სვლების ჩაწერა. ქალრაკის მოთამაშისათვის, გარდა თამაშის წესებისა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სვლების ჩაწერის ცოდნაც. ამით საშუალება ეძლევა გაცნოს ქალრაკის ლიტერატურას და საუკეთესო მოთამაშეების პარტია გააჩინოს. ფიგურები აღნიშნება მათი სახელების პირველი ასოთი:



მეფე . . . მ
ლაზიერი . . . ლ
ეტლი . . . ე
კუ . . . კ
მხედარი . . . მხ.

მხ. (ვინაიდან მეფესა და მხედრის პირველი ასოები ერთნაირია).

სვლის აღნიშვნის დროს სწერენ იმ ფიგურის ინიციალს, რომელიც სვლას აკეთებს, შემდეგ უჯრის სახელს (ციფრას და ასოს), საიდანაც მიდის, შემდეგ ტირეს და ამის შემდეგ სწერენ იმ უჯრას, სადაც ჯდება. მაგალითად: ლ d1 — d5 ასე უნდა წაიკითხოს: d1-ზე მჯდარი ლაზიერი გადადის d5-ზე. მხ b1 — c3: მხედარი b1-დან c3-ზე გადადის და სხვა. როდესაც უჯრის სახელს წინ ასო არ უწერია, ეს იმას ნიშნავს რომ პაიკი მოძრაობს; მაგ. h2 — h4; e2 — e3, h2 — h4 და სხვა.

ორწერტილით (:) აღინიშნება მოკვლა. მაგალითად, ლ d8 : d1; d8 ლაზიერმა მოკვლა d1-ზე მჯდარი ფიგურა. ქიშის გამოცხადება აღინიშნება ჯვრით (+), ხოლო შამათი გამრავლების ნიშნით (X). მაგალითად, კ c3 — f6+; ამას ასე წაიკითხავენ: კუ c3 ჯდება f6-ზე და ქიშს უცხადებს ე h1 — h8 X; ეტლი h1 ჯდება h8-ზე და შამათს უკეთებს.

პაიკი უკანასკნელ ხაზს რომ აღწევს და ფიგურად იქცევა, ეს შემდეგნაირად აღინიშნება: ჯერ აღნიშნავენ ჩვეულებრივ სვლას და შემდეგ მიუწერენ იმ ფიგურის პირველ ასოს, რომლიდანაც გადაიქცა. მაგალითად, პაიკი d7 დაჯდა d8-ზე და გადაიქცა ლაზიერად: d7 — d8 ლ. თუ ამ გადაქცევის დროს იგი ქიშსაც უცხადებს მეფეს, მაშინ ასე დაიწერება. d7 — d8 ლ+.

მოკლე როჭი აღინიშნება O—O; გძელი—O—O—O. საუკეთესო სვლა აღინიშნება გრძობის ნიშნით (!), ხოლო საეჭვო ღირსების ანდა ცუდი — კითხვითი ნიშნით (?). როდესაც პარტიის ბოლოში ზის ასეთი ნიშანი ± ანდა + —, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ თეთრებმა მოიგეს, ხოლო თუ ასეთია: ∓, ანდა — +, ეს შავების მოგებაა. ერთ სვლად ითვლება ორივე მოთამაშის მიერ გაკეთებული სვლა, როგორც თეთრების, ისე შავებისა, და აღინიშნება ასე:

1. e2 — e4 e7 — e5
2. d2 — d4 d7 — d5 და სხვა.

შეიძლება ასეც დაიწეროს 1. $\frac{e2-e4}{e7-e5}$; 2. $\frac{d2-d4}{d7-d4}$ და სხვა.

ნიშნები რომ უფრო ადვილი დასახსოვებელი იყოს მოვიყვანთ მათ ტაბულას:

—	სვლა
:	მოკვლა
+	ქიშის გამოცხადება
X	შამათი
O—O	მოკლე როჭი
O—O—O	გრძელი როჭი
!	კარგი სვლა
?	ცუდი სვლა
±	თეთრების მოგება
∓	შავების მოგება

ნოტაცია უცხო ლიტერატურაში. რუსები, გერმანელები და სხვა ერები მისდევენ ზემოაღნიშნულ საქალრაკო ნოტაციას. ამ მხრივ ფრანგული, ამერიკული და ინგლისური ნოტაცია ცოტათი განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. ჩვენ რომ უჯრებს a, b, c, d-ს ვუწოდებთ

ისინი მათ აღსანიშნავად სხვანიორ წესს მისდევენ. უჯრა a1 მათთვის არის ლაზიერის ეტლის პირველი უჯრა; უჯრა h1 მეფის ეტლის პირველი უჯრა; b1 — ლაზიერის მხედრის პირველი უჯრა; b2 — ლაზიერის მხედრის მეორე უჯრა; b8 — ლაზიერის მხედრის მერვე უჯრა; c1 — ლაზიერის კუს პირველი უჯრა და სხვა. ასევეა მეფის ფრთის უჯრების აღნიშვნაც. ამიტომ უჯრის სახელწოდების აღსანიშნავად ისინი სწერენ ჯერ სათანადო ფიგურის სახელის პირველ ასოს და შემდეგ მეფისა ან ლაზიერის (იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ფრთის უჯრას აღნიშნავენ) სახელის პირველ ასოს.

ფრანგები და ინგლისელები ჰორიზანტალურ რიგებს ჩვეულებრივი წესით (1, 2, 3, 8) ითვლიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თითოეული მოთამაშე რიგების სათვალავს თავისი მხრიდან იწყებს; ასე, მაგად, ლითად, შავებით მოთამაშესათვის მე-8 იქნება ის რიგი, რომელსაც ჩვენებური ნოტაციით პირველ რიგს ვუწოდებთ და პირიქით.

ჩვეულებრივი ნოტაცია.	ფრანგული.
e2 — e4	P. ₁ R
e7 — e5	P. ₄ R
მხg1 — f3	C. ₃ FR
ლე2 — h5	D. ₅ TR
კc8 — f5	F. ₄ FR და სხვა.

მოკვლის, ქიშის, შამათის, როქის ნიშნები აქაც იგივეა; რაც ჩვეულებრივიში.

თამაშის საერთო წესები. 1) თამაშის დაწყების წინ მოთამაშენი კენჭს ყრიან, თუ ვინ ითამაშოს თეთრებითა და ვინ შავებით. პირველ სვლას თეთრები აკეთებენ. შემდეგ პარტიებზე მოთამაშენი რიგ-რიგობით სცვლიან კოჭების ფერს.

2. დაფა ისე უნდა დაიდოს, რომ თითოეული მოთამაშის მარჯვენა მხარეზე კუთხის თეთრი უჯრა მოდიოდეს.

3. თუ თამაშის დროს გამოირკვა, რომ ან დაფა არა დევს სწორედ, ანდა კოჭები არ ალაგია წესიერად, პარტია ჩაშლილად ითვლება. თუ თამაშის პროცესში კოჭების მოძრაობის ესა თუ ის წესი დაირღვა და ეს და-

1) ჩვეულებრივ ნოტაციაში პაიკი თავისი ინიციალით არ აღნიშნება ხოლმე, ხოლო ფრანგულ ნოტაციაში კი აუცილებლად.

რღვევა დროზე ვერ იქნა შენიშნული, გაუქმებულად ითვლება ყველა ის სვლა, რაც ამ უმართებლო სვლის შემდეგ იქნა გაკეთებული. თუ სწორი მდგომარეობის აღდგენა ვერ მოხერხდა, პარტია ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს.

4. თუ მოთამაშემ საკუთარ კოჭს ახლო ხელი, აუცილებლად ამ კოჭით უნდა ითამაშოს; თუ მოპირდაპირის კოჭს — აუცილებლად უნდა მოჰქლას; რასაკვირველია, ეს წესი ძალას ჰქარგავს იმ შემთხვევაში, თუ მის კოჭს სავალი გზა არ აქვს და მოწინააღმდეგეს კოჭი კი მისი რომელიმე კოჭით ვერა კედება. ეს წესი ძალას ჰქარგავს იმ შემთხვევაშიაც, თუ მოთამაშე უმაღვე დაატანებს სიტყვას — „ვასწორებ“.

5. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მეფე, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ სვალდებულ სვლით იგი პირდაპირ ქიშის ქვეშ ჰყვება.

5. საერთოდ უპართებულად ითვლება ყოველი ის სვლა, რომელიც საკუთარ მეფეს უშუალოდ ქიშის ქვეშ აყენებს. ამიტომ ასეთი სვლა უნდა გასწორდეს.

7. თუ რომელიმე კოჭით უმართებულო სვლა იქნა გაკეთებული, უნდა გასწორდეს იგი და იმავე კოჭით წესიერი სვლა გაკეთდეს.

8. უმართებულო როქი მოთამაშეს ავალებს მორიგი სვლა მეფით გააკეთოს (გამონაკლისი მე-6 პუნქტი).

9. თუ მოთამაშემ ქიში გამოუცხადა მოპირდაპირის მეფეს, მაგრამ თავისი კოჭი შეცდომით დასვა სხვა უჯრაზე, საიდანაც არ ექიშება, ამ შემთხვევაში ქიში ძალას ჰქარგავს და სვლის გასწორება არ შეიძლება.

10. თამაშის ბოლოს (როდესაც ერთ-ერთ მხარეს მარტო მეფეა ჰყავს) თუ ძლიერმა მხარემ 50 სვლაში ვერ გაუკეთა შამათი, 51 სვლაზე ხელი ფრედ ცხადდება. ზოგჯერ (როდესაც ერთ მხარეს მეფე და ორიოდე პაიკი ჰყავს, ხოლო მეორე მხარეს შამათის გამოსაცხადებლად საკმაო ფიგურები მოეპოება) ძლიერ მხარეს საშამათოდ 100 სვლის უფლებას აძლევენ.

11. თამაში ფრედ ითვლება იმ შემთხვევაშიაც, თუ ორივე მხარემ ზედიზედ სამჯერ გაიმეორა ერთიდაიგივე სვლა (მაგ. მუდმივი ქიში).

12. წაგებულად ითვლება ის, ვინც მოპირდაპირეს ნებდება, ანდა ვისაც შამათი უკეთდება.

ეს საერთო წესები სასტიკად უნდა დაიცვას თითოეულმა მოთამაშემ.

გამოდის 1928 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო სასურათო

→ უ უ რ ნ ა ლ ი ←

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

უურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ღენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების კვლევებულ-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

უურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

საღამო ნომერი — 25 კაპ.

მისაგარტი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახეგვამი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქსიო კოლეჯია.